



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

სსიპ ივანე ბერიტაშვილის სახელობის გურჯანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვეჯინის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მანანა ალიბეგაშვილი

წევრები:

თამარი კვანტიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
ეკატერინე გურგენაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
იოსები ლაზარაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
სოფიო დუმბაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
თამარ თავშავაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
ჟანა ბელქანია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
ნიკოლოზ ჩუბინიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
ავთანდილ კეჭაყმაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
მანანა როსტომაშვილი(დაწყებითი განათლების ექსპერტი)



ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ივანე ბერიტაშვილის სახელობის გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვეჯინის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	227753188



II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	გურჯაანის მუნიციპალიტეტი სოფელი ვეჯინი
იურიდიული მისამართი	გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელი ვეჯინი, მე-3 ქუჩა
ფაქტობრივი მისამართი	გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელი ვეჯინი, მე-3 ქუჩა
საფოსტო ინდექსი	1500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	არ აქვს ვებ-გვერდი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	vejini@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	არ აქვს ტელეფონი

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2023 წლის 18.07 N-893314
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	9 და 10 აგვისტო 2023 წ

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

N	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო
---	----------------------	----------------------	----------------------	----------------------



	პროგრამის სახელწოდება	პროგრამის საფეხური	პროგრამის განხორციელების ენა	პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელ ვეჯინის საჯარო სკოლა, მე-3 ქუჩა
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელ ვეჯინის საჯარო სკოლა, მე-3 ქუჩა
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელ ვეჯინის საჯარო სკოლა, მე-3 ქუჩა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა



2023 წლის 9 და 10 აგვისტორ შედგა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი,სსიპ გურჯანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვეჯინის საჯარო სკოლაში, შემდეგი შემადგენლობით მანანა ალიბეგაშვილი თავმჯდომარ,თამარ კვანტიძე,ეკატერინე გურგენაშვილი,იოსებ ლაზარიშვილი,სოფიო დუმბაძე,თამარ თავშავაძე,ჟანა ბელქანია,ნიკოლოზ ჩუბინიძე,ავთანდილ კეჭეყმაძე, ედუარდ ნაკაიძე და მანანა როსტომაშვილი.ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

ვიზიტმა მშვიდ ,თანამშრომლობით გარემოში ჩაიარა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).



ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი



სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მზარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 400	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.



ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:
ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად შეფასდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი, საბაზო და საშუალო
საფეხურის პროგრამები

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შესაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
...		
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	



სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საჯარო)	ხარვეზი

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილად ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი		
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N 3.4.1.1.		სკოლას არ ქონდა შენობის მდგრადობის დოკუმენტი. ვიზიტასას წარმოადგინა გაგზავნილი წერილი სამხარაულის საექსპერტ ბიუროში.. სკოლას არ ქონდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.



		სფეროში შემავალ სამსახურთან შეთანხმებულ და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმასკოლ ვიზიტის დროს წარმოგვიდგინა წერილ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებასთან დაკავშირებით. ასევე არ ქონდა დასკვნა შენობა-ნაგებობ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებ შესაბამისობის შესახებ.სკოლას მიერ რეკომენდაციები აღნიშნულ დოკუმენტებ დაკავშირებით.შესაბამისობის ფარგლებ სკოლამ წარმოადგინა ,რომ აღნიშნუ დოკუმენტებს წარმოადგენს 2024 წლის მაისამდე.
ინდიკატორი 3.6.3.1	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;	სკოლას არ ქონდა ვებ გვერდი.სკოლ შესაბამისობის გეგმის ფარგლებ წარმოადგინა,რომ ვებ გვერდს აამუშავებს 20 წლის 11 ნოემბრამდე
ინდიკატორი 3.6.3.4	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;	სკოლას არ ქონდა ვებ გვერდი.სკოლ შესაბამისობის გეგმის ფარგლებ



		წარმოადგინა, რომ ვებ გვერდს აამუშავებს 20 წლის 11 ნოემბრამდე
ინდიკატორი 3.6.3.5	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლას არ ქონდა ვებ გვერდი. სკოლა შესაბამისობის გეგმის ფარგლებში წარმოადგინა, რომ ვებ გვერდს აამუშავებს 20 წლის 11 ნოემბრამდე
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი		

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი		



სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა მიზნით სკოლას მიეცემა რეკომენდაცია აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
.....		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	რჩევა
ინდიკატორი N2.1.1.1....	დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმი	საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტ რჩევაა მეთოდოლოგიაში უფრო მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, მთელი წლის განმავლობაში რა ფორმით, როგორი ინტენსივობით, რომელ ინსტრუმენტების გამოყენებით მოხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა, და გათვალისწინება. ასევე



		მნიშვნელოვანია კურიკულუმის განვითარება მეთოდოლოგიაში ფრაგმენტულად არსებულ ზოგადი ჩანაწერები დაზუსტდეს სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით..
ინდიკატორი N 2.1.2.2.	დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური კურიკულუმი	საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევა კურიკულუმები მიემართებოდას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისკენ სასურველი და მნიშვნელოვან კურიკულუმებში თითოეულ თემის დონეზე ყველა სამიზნე ცნებაზე ორიენტირებულ კომპლექსური დავალების იდეების გაწერა შესაბამისი რესურსების მითითებით. ესთეტიკის საგნობრივი ექსპერტის რჩევა საკითხზე, რომელზედაც ახორციელებს კომპლექსურ დავალებას, უნდა მიუთითოს ძირითადი კონტექსტ მაგალითი. გაითვალისწინონ, რომ ყველა თემა უნდა გავიდეს ყველა სამიზნე ცნებაზე
ინდიკატორი N 2.1.2.3	დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური კურიკულუმი	იმისათვის, რომ კურიკულუმი ითვალისწინებდეს დიფერენციულ და ინკლუზიურ მიდგომებს ესთეტიკურ



		აღზრდის ექსპერტის რჩევაა წინასწარ შემუშავებული ადაპტირებული კომპლექსური დავალებით სსსმ მოსწავლეებთან სამუშაოდ შესაბამისი შეფასების რუბრიკებთან ერთად.
ინდიკატორი N 2.1.2.4.	დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური კურიკულუმი	იმისთვის, რომ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება მიემართებოდეს გრძელვადიანი მიზნისკენ საზოგადოებრივი ექსპერტის გაცემს რჩევას- შეიქმნას განმავითარებელი შეფასების რუბრიკები თითოეული კომპლექსური დავალებისთვის თითოეული სავალდებულო თემისთვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები მომზადება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორების საფუძველზე. ესთეტიკური აღზრდის ექსპერტის რჩევაა დაემატოს როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი (მე-5 და მე-6 კლასში) შეფასების, რუბრიკები კომპლექსური დავალებების შესაბამისად.



ინდიკატორი N 2.2.1.1	დაწყებითი, საბაზო, საშუალო კურიკულუმი	საფეხური	სასწავლო პროცესში მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართვისთვის ბ საზოგადოებრივ მეცნიერებების ექსპერტის რჩევაა კურიკულუმების კომპლექსური ბუნება დავალდებით გამდიდრება და, ასევე კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლ პროექტის დაგეგმვა-განხორციელებ ანგარიშგება.
ინდიკატორი N 2.2.3.3	დაწყებითი , საბაზო, საშუალო კურიკულუმი	საფეხური	სასწავლო პროცესში სწავლის სწავლა აქცენტის გასაკეთებლად საზოგადოებრივ მეცნიერებების ექსპერტის სკოლამ შეიმუშა კვლევის ინსტრუმენტი, რომელ საშუალებითაც სისტემატურად გამოავლენეს მხრივ არსებულ გამოწვევებს და დაგეგმა შესაბამის ინტერვენციებს თანამშრომლობ პროცესის ეფექტურობის გაზრდის მიზნით.
ინდიკატორი N 2.2.3.4	დაწყებითი, საბაზო, საშუალო კურიკულუმი	საფეხური	ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებ მიზნით საზოგადოებრივი მეცნიერებებ ექსპერტის რჩევაა სკოლამ პერიოდულა ჩაატაროს სასკოლო კლიმატის კვლე



		შესაბამისი ინსტრუმენტის გამოყენებით დამატებითი მიღებული შედეგები გამოიყენოს დამატებითი აქტივობები დაგეგმვის მიზნით.
ინდიკატორი N 2.3.1.1.	დაწყებითი, საბაზო საშუალო საფეხურის კურიკულუმი	საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევა-მეთოდოლოგიის დოკუმენტში და უფრო მეტად დაკონკრეტდეს მონიტორინგისა და შეფასების პრინციპები, მიმართულებები ფორმატი, ვადები და ინსტრუმენტები
ინდიკატორი N 2.3.2.4.	დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის კურიკულუმი	საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევა-მეთოდოლოგიაში ჩანდეს რა მექანიზმები მოხდება შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინება
ინდიკატორი N 2.4.1.2.	დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის კურიკულუმი	მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის რჩევი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს კონკრეტული პროცედურები მიზნების, ინსტრუმენტების პასუხისმგებელი პირების, ვადების მითითებით, რომლის მიხედვითაც სკოლა განახორციელებს დანერგვის მონიტორინგსა და შეფასებას.



.		

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები სკოლამ გაიზიარა და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა.ექსპერტთა მიერ სრულად იქნა გაზიარებული სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორი N3.1.2.3.და ინდიკატორი N 2.2.2.5 სამივე საფეხურზე გადავიდა სრულ შესაბამისობაში,ხოლო ინდიკატორი N 3.4.1.1,გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შესაბამისია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. სკოლის ხედვაში ასახულია სკოლის მისწრაფება, თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგას გრძელვადიანი მიზნების შესასრულებლად. კერძოდ სკოლის მისიაა შეიქმნას ისეთი გარემო, სადაც ნებისმიერ მოსწავლეს, მიუხედავად მისი უნარისა და შესაძლებლობისა ექნება წარმატების თანაბარი შესაძლებლობა. სკოლის ხედვაა სკოლის კურსდამთავრებული აზროვნებდეს ანალიტიკურად, შეეძლოს პრობლემის გადაჭრა და იყოს წარმატებული, როგორც შიდა ისე მსოფლიო ბაზარზე. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილს, შეთანხმებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ და დამტკიცებულია პედსაბჭოს სხდომაზე.

ინდიკატორი 1.1.1.1. სტანდარტს შეესაბამება

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს; კერძოდ სკოლას ამ მისიით აცხადებს, რომ ანალიტიკურად მოაზროვნე, პრობლემის გადაჭრის უნარის მქონე წარმატებული მოქალაქის აღსაზრდელად მნიშვნელოვანია შექმნას ინკლუზიური გარემო, სადაც ნებისმიერი უნარის, შესაძლებლობის და ინტერესების მქონე მოსწავლე შეძლებს, გახდეს წარმატებული როგორც შიდა ისე მსოფლიო ბაზარზე.

ინდიკატორი 1.1.1.2. სტანდარტს შეესაბამება

3.ადგილზე გასაუბრების შედეგად დადგინდა,რომ არსებული სკოლის მისიის და ხედვის შემუშავების პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი,ამ ეტაპზე სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია ,ხედვა და ღირებულებები მიღებულია სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობით,კერძოდ დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფის მიერ. სკოლის ადმინისტრაციის წევრები გასაუბრებისას აცხადებენ,რომ მომავალში კიდევ მეტად გაფართოვდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ხარისხი და მოცულობა.

ინდიკატორი 1.1.1.3. სტანდარტს შეესაბამება

4.სკოლის მისია,ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.კერძოდ მიღებულია თითოეული რგოლის ინტერესების გათვალისწინებით.სკოლა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად აპირებს 2023-2024 სასწავლო წლიდან კითხვარების საშუალებით მოსწავლის,მშობლის და მასწავლებლის ინტერესების გამოკითხვას.ამ შედეგების გათვალისწინებას მომავალი წლის სამოქმედო გეგმაში..სკოლის გამოწვევაა შექმნას ინდივიდუალური სახე

ინდიკატორი 1.1.1.4. სტანდარტს შეესაბამება

5.სკოლის მისია,ხედავა და ღირებულებები წარმოდგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს,რომლის შეთანხმება ხდება სამეურვეო საბჭოს მიერ,ხოლო დამტკიცება პედსაბჭოს მიერ.მისია,ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლის პირველ სართულზე საინფორმაციო დაფაზე.

ინდიკატორი 1.1.1.5. სტანდარტს შეესაბამება

6 სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

სკოლა არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448 (15/09/2005) „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“. ატარებს გამოჩენილი ქართველი ფიზიოლოგისა და ამავე სოფლის მკვიდრის, ივანე ბერიტაშვილის სახელს. ამჟამად სკოლის სრული სახელწოდებაა: სსიპ ივანე ბერიტაშვილის სახელობის გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვეჯინის საჯარო სკოლა.

ინდიკატორი 1.1.1.6. სტანდარტს შეესაბამება



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N8 მშობელთა კრების ოქმი

დანართი N 9 კათედრის ოქმი

დანართი N29 ბრძანება სახელის მინიჭებაზე

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;



4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია,რომელიც შემუშავებულია, დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ,რომელმაც იმუშავა მისიის,ხედვის და ღირებულების განახლებაზე,შესაბამისი სტრატეგიული განვითარების გეგმაზე და სამოქმედო გეგმის პროექტზე,რომელიც ეფუძნება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებსა და ინტერესებს.რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი კათედრის სხდომის ოქმებით,სადაც განხილულია სტრატეგიის შემუშავების პროცესში კათედრის ინტერესების განხილვა.სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს პროცესში მონაწილე მხარეებს,თითოეულის უფლება-მოვალეობებს,სტრატეგიის შემუშავების და განვითარების ეტაპებს,წლიური ანგარიშის მომზადების და გაზიარების პროცედურებს და იმ ფაქტორებს რაც გავლენას ახდენს ამ ცვლილებებს.

ინდიკატორი 1.2.1.1.სტანდარტს შეესაბამება

2.სკოლამ ადგილზე ვიზიტისას წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა,რომელიც ეფუძნება სკოლის მისიას,ხედვას და ღირებულებებს.სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილია სკოლის სტრატეგია, სტრატეგიის შესაბამისი გრძელვადიანი მიზნები,ამ მიზნების მისაღწევი როგორც ადამიანური,ისე მატერიალური რესურსები.ასევე გათვალისწინებულია პროცესზე მოქმედი ფაქტორები.

ინდიკატორი 1.2.1.2.სტანდარტს შეესაბამება

3.სკოლას აქვს წარმოდგენილი 2022-2023 სასწავლო წლის 1 წლიანი სამოქმედო გეგმა,რომელიც ეფუძნება წინა წლის სამოქმედო გეგმას.ასევე სკოლამ წარმოადგინა 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა ,რომლის საფუძველზე შექმნილია 2023-2024 სასწავლო

წლის სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელიც ეფუძნება სკოლის საჭიროებების და სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და წინა წლის სამოქმედო გეგმის შერულების ანალიზს და რომლის დამტკიცება მოხდება 2023-2024 სასწავლო წლის პირველ სამეურვეო საბჭოს სხდომაზე.

ინდიკატორი 1.2.1.3. სტანდარტს შეესაბამება

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა შესაბამისია სკოლის წინა წლების მოთხოვნებთან და არსებულ მისიასა და ხედვასთან. სკოლამ ასევე წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ 7 წლიან სტრატეგიულ გეგმასის პროექტთან და ეფუძნება სკოლის საჭიროებებს.

ინდიკატორი 1.2.1.4. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N1 ბრძანება სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფის შესახებ

დანართი N2 სტრატეგიულის მისიის და ხედვის განვითარების მეთოდოლოგია

დანართი N4 ბრძანება 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის შესახებ

დანართი N5 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა

დანართი N6 1 წლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც შეიმუშავა დირექტორის ბრძანებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა. მეთოდოლოგიაში გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების ფორმები, სიხშირე და ინსტრუმენტები. კერძოდ, მეთოდოლოგიაში გაწერილია მონიტორინგის 2 გაზა, რომლის არჩევა ხდება სკოლის მიერ არსებული მდგომარეობის და საჭიროებების გათვალისწინებით. პირველი სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მიზნით დრაივზე იტვირთება სტრატეგია და ფაილი სადაც ტავსდება ანგარიშები. მასზე წვდომა აქვს მონიტორინგის ჯგუფის წევრებს და საჭიროების შემთხვევაში დაინტერესებულ პირს. მეორე მონიტორინგის მიზნით ანგარისები წარედგინება ჯგუფის წევრებს მატერიალური სახით და შედეგების ანალიზი გასაჯაროვდება.

ინდიკატორი 1.2.2.1. სტანდარტს შეესაბამება

2. სტრატეგიული განვითარების დაგეგმარების მეთოდოლოგია მიღებულია დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფის მიერ, ჯგუფის მიერ ამ დოკუმენტის შექმნისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესების დამდგენი მექანიზმები და ამ შედეგების გათვალისწინება სტრატეგიული გეგმის განხორციელების პროცესში. კერძოდ ადგილზე გასაუბრებისას, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი კათედრის სხდომის ოქმით და მშობელთა კრების ოქმით დასტურდება, რომ ამ ჯგუფის მიერ

ახალი სრატეგიული გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულია 2022-2023 სამოქმედო გეგმის შედეგების ანალიზი და სასკოლო საზოგადოების ინტერესი. სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგის მექანიზმებს რომელიც აქტიურად ამუშავდება ახალი სასწავლო წლიდან.

ინდიკატორი 1.2.2.2. სტანდარტს შეესაბამება

3. სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის სამუშაო ჯგუფთან გასაუბრებისას, ასევე სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით დასტურდება, რომ სტრატეგიული დაგეგმვის და სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები გასაჯაროვდება, სკოლის Facebook-გვერდზე, სკოლის Web გვერდის ამუშავების შემდგომ, Webგვერდზე და საინფორმაციო დაფაზე. ასევე მოხდება ამ შედეგების განხილვა კათედრებზე.

ინდიკატორი 1.2.2.3. სტანდარტს შეესაბამება

4. სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში და მიღებული რეკომენდაციები გათვალისწინებულია 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტში. წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით, მომავალში კიდევ მეტად გააქტიურდება შემდეგი ქმედებები: კათედრების ჩართულობის გაზრდა, მოსწავლეთა თვითმმართველობის გააქტიურება, სამეურვეო საბჭოს უკუკავშირის გათვალისწინება, გეგმის კორექტირება, ჩანაწერების დაზუსტება, ვადების გადაწევა, აქტივობის ჩამატება/ამოღება, წახალისების ფორმების დახვეწა და გათვალისწინება, რაც ხელს შეუწყობს სკოლის შემდგომ განვითარებას.

ინდიკატორი 1.2.2.4. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

დანართი N 2 მისიის, ხედვის, სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგია

დანართი N3 კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

დანართი N4 ბრძანება სტრატეგიის დამტკიცებაზე

დანართი N5 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მოქმედი სტრუქტურული ერთეულებია: დირექცია, ადმინისტრაცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური

საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური საბჭო და მრჩეველთა საბჭო. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის

ბრძანებით შექმნილი დოკუმენტი, რომელშიც გაწერილა სკოლის სტრუქტურა და დირექციის და ადმინისტრაციის წევრების უფლება-მოვალეობები. თითოეული სტრუქტურის უფლება-მოვალეობების ასევე გაწერილია შესაბამის ხელშეკრულებებში.

ინდიკატორი 3.1.1.1. სტანდარტს შეესაბამება

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული “სკოლის დირექცია-ადმინისტრაციის ფუნქცია მოვალეობების განმსაზღვრელი” დოკუმენტით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით. შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილ თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს დაკისრებული აქვს მისი ფუნქციის შესაბამისი აქტივობების განხორციელება. სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს, პედსაბჭოს და სხვა სტრუქტურული რგოლების მუშაობის ამსახველი დოკუმენტი, საიდანაც ჩანს, რომ თითოეული მათგანი ასრულებს შესაბამის სამუშაოს. სკოლაში სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები ისეა გადანაწილებული, რომ ხელს უწყობს პასუხისმგებლობისა და დავალებების განაწილებას. საშტატო ერთეულებს შორის ფუნქციების განაწილება მკაფიოდ გამოჩნდა სკოლაში ვიზიტის დროს. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორი 3.1.1.2. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N12 დირექტორის ბრძანება

დანართი N31 ბრძანების დანართი

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები სკოლაში მიმდინარეობს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. ადგილზე ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომლის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა და ხელშეწყობა. გასაუბრებისას დადგინდა, რომ სკოლა აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე პროცესები ორგანიზებულად და გამჭვირვალედ ხორციელდება.

ინდიკატორი 3.1.2.1 სტანდარტს შეესაბამება

2. სკოლამ ადგილზე ვიზიტისას წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. ამ დოკუმენტის მიხედვით სკოლა მაქსიმალურად ხელს უწყობს თითოეული დასაქმებულის შესაძლებლობების რეალიზებას და პროფესიულ ზრდას. ადგილზე გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში რეალურად

მიმდინარეობს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა; რაც დასტურდება, კათედრების, პედაგოგთა თუ სამეურვეო საბჭოს ოქმებით

.ინდიკატორი 3.1.2.2 სტანდარტს შეესაბამება

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით; სკოლის პერსონალის შერჩევა ხდება პიროვნების გამოცდილების, კვალიფიკაციის, შედეგების გათვალისწინებით. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები ობიექტური და გამჭვირვალეა. კადრების შერჩევა ხდება კანონმდებლობის სრული დაცვითა და კომპეტენციების გათვალისწინებით. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის 10 და 11 მუხლები განსაზღვრავს თუ როგორ ხდება კადრების მოზიდვა და შერჩევა. ამ დოკუმენტში გაწერილია საკადრო პოლიტიკის მართვის სტრატეგია, რომელიც სრულ შესაბამისობაშია სკოლის სტრატეგიულ მიზნებთან პერსონალის პირად საქმეებში არის თანამშრომელთა ისეთი სახის დოკუმენტაცია, როგორიცაა: ცნობა ნასამართლეობის შესახებ; რაც შეეხება ცნობებს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობას და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობას, სკოლაში 2020 წლის 3 ივლისამდე დასაქმებულთ ეს ცნობა მატერიალური სახით არ მოეთხოვებათ. სამ თანამშრომელს, ექიმს. საქმისმწარმოებელს და დამლაგებელს, რომლებიც მიიღეს 2020 წლის 3 ივლისის შემდეგ აქვთ ცნობა ნასამართლეობის შესახებ; და არ აქვთ 1. სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობა; 2. უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა. სკოლამ შესაბამისობის გეგმის ფარგლებში წარმოადგინა სამივე თანამშრომლის მოთხოვნილი დოკუმენტი

ინდიკატორი 3.1.2.3. სტანდარტს შეესაბამება

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებული თანამდებობის მოთხოვნებს, რაც დასტურდება გამოცხადებული კონკურსის შედეგად, ახალი კადრების აყვანით. საკონკურსო პრობებში ჩადებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებით. თანამშრომელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია კვალიფიკაციის დამადასტურებელი საბუთები. საინფორმაციო ტექნოლოგიების მასწავლებელს, რომელიც მოწვეული პედაგოგია პრაქტიკოსია, სკოლის მიერ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ცხადდება კონკურსი, მაგრამ ვერ ხდება კვალიფიციური კადრის შერჩევა, რადგან არცერთი კონკურსანტი არ ფიქსირდება. (მოწვეულ პედაგოგათ მისი მუშაობა არ არღვევს სტანდარტს)

ინდიკატორი 3.1.2.4. სტანდარტს შეესაბამება

5. პერსონალის მართვა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება გუნდური და მონაწილეობითი მუშაობის პრინციპებს. რაც დასტურდება ადგილზე სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით და სკოლის ხარისხის მართვის და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციებით, კათედრის სხდომის ოქმებით.

ინდიკატორი 3.1.2.5. სტანდარტს შეესაბამება

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარების და გაზიარების მექანიზმები. კერძოდ სკოლა აქტიურად მონაწილეობს სხადასხვა ტიპის პროექტებში, ასევე აქტიურად ერთვებიან მასწავლებლები ადგილობრივ კონფერენციებში. წარმატებული პროექტის შედეგების და კონფერენციის მასალების გაზიარება ხდება კათედრებზე და Facebook გვერზე. მიმდინარეობს წარმატებული პერსონალის წახალისება სიტყვიერი და წერილობითი მადლობებით.

ინდიკატორი 3.1.2.6. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 8 დირექტორის ბრძანება ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის შექმნის შესახებ

დანართი N11 დანართი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი

დანართი N33 ბრძანება კონკურსის გამოცხადების შესახებ

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმებს ახორციელებს ურთიერთდასწრების სისტემის საშუალებით. კერძოდ, შემუშავებულია მონიტორინგის, ურთიერთდასწრების, შეფასების სისტემა. სკოლამ ადგილზე ვიზიტისას წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის ერთ-ერთი მუხლი ეხება შესრულებული სამუშაოს შეფასების პრინციპებს და რეაგირებას. ასევე სკოლას აქვს ხარისხის უზრუნველყოფის განმსაზღვრელი დოკუმენტი, რომლის საფუძველზე მომავალი წლიდან აპირებს პროფესიული განვითარების ხელშეწყობის სისტემის დახვეწა.

ინდიკატორი 3.2.1.1. სტანდარტს შეესაბამება

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს საგნობრივ კათედრებთან და ესწრება პედაგოგთა საგაკვეთილო პროცესს. მოსმენილი გაკვეთილის შესახებ აძლევს პედაგოგს უკუკავშირს, უკუკავშირს განიხილავენ კათედრაზე, ითვალისწინებენ და გასცემენ რეკომენდაციებს, საჭიროებიდან გამომდინარე გეგმავენ შემდეგ აქტივობებს: ურთიერთდასწრება გამოცდილების გაზიარების მიზნით, კვალიფიკაციის ამაღლება ტრენინგებითა და სხვადასხვა აქტივობებით. აქტუალურია „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი“. 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს დახვეწოს ხარისხის მართვის მუშაობის მექანიზმები, აქტიური და სისტემატიური სახე მიიღოს კათედრებზე ურთიერთდასწრებისა და უკუკავშირის მიცემის ფორმამ, რაც დადებითად აისახება სკოლის პერსონალის განვითარების ხარისხზე.

ინდიკატორი 3.2.1.2. სტანდარტს შეესაბამება

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას, კერძოდ ხარისხის განვითარების ჯგუფის მიერ ხდება საჭიროებების გამოვლენა და მასწავლებელთა დარეგისტრირება საჭიროების შესაბამის ტრენინგზე. ასევე სკოლა ჩართულია USAID პროექტში, რომელიც თავის მხრივ მუდმივად ხელს უწყობს ლიდერი მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას. ადგილზე ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით შექმნილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის 20 მუხლში განსაზღვრულია პერსონალის პროფესიული ზრდის მექანიზმები და პრინციპები.

ინდიკატორი 3.2.1.3. სტანდარტს შეესაბამება

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; ყოველ ახალ თანამშრომელს სკოლა აცნობს სკოლის შინაგანაწესს და ეხმარება ადაპტაციის პროცესში. სკოლის ადამიანური რესურსების პოლიტიკის დოკუმენტის 18 მუხლია ახალ თანამშრომელთა სოციალიზაცია, კერძოდ ჩამოყალიბებულია ადაპტაციის მნიშვნელობა და ის ეტაპები რაც უნდა გაიაროს თანამშრომელმა მისი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის მიზნით. იგეგმება მომავალი წლიდან პერსონალის ადაპტაციის განმსაზღვრელის დოკუმენტის შემუშავება, სადაც დეტალურად გაიწერება ადაპტაციის პროცედურები

ინდიკატორი 3.2.1.4. სტანდარტს შეესაბამება

5. სკოლაში წახალისებულია პერსონალის ინიციატივები, რაც დასტურდება ადგილზე გასაუბრების და სკოლის მიერ წარმოდგენილი სხადასხვა სახის სერთიფიკატით თუ მადლობის სიგელით, ასევე სკოლა აქტიურად არის ჩართული სხადასხვა სახის პროექტებში. წახალისების მექანიზმები გაწერილია სკოლის შინაგანაწესსა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში.

ინდიკატორი 3.2.1.5. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 8 დირექტორის ბრძანება ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის შექმნის შესახებ

დანართი N11 დანართი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის საფუძველზე და ხარისხის მართვის ჯგუფის ხელშეწყობით,ამ ჯგუფის საქმიანობა ეფუძნება პრინციპს -დაგეგმე,განახორციელე,შეაფასე,შეცვალე,რაც დასტურდება ადგილზე გასაუბრებით, კათედრების და ხარისხის განვითარების ჯგუფის მიერ გაცემული არგუმენტირებული უკუკავშირით.

ინდიკატორი 3.3.1.1. სტანდარტს შეესაბამება

2.სკოლაში იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი და დამხმარე პროცესები კერძოდ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით საგაკვლეთილო პროცესში შეტანილია არჩევითი საგნები. სწავლა სწავლების პროცესის ამაღლებისა და სრულყოფისათვის სკოლაში ხორციელდება არაფორმალური განათლების ხელშეწყობა (სამოქალაქო კლუბი, ეკოკლუბი, ახალგაზრდული ტექნოლოგიური კლუბების ქსელი), ბიბლიოთეკა, კარგად აჭურვლილი საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიური ლაბორატორია.

ინდიკატორი 3.3.1.2. სტანდარტს შეესაბამება

3.სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა; კერძოდ სკოლის შინაგანაწესში დეტალურად არის აღწერილი დისციპლინური გადაცდომის სახეები თითოეული რგოლისთვის და მასზე რეაგირების მექანიზმები.ასევე ყველა ტიპის ხელშეკრულებაში მოცემულია გასაჩივრების პროცედურა.ამ პროცესის უზრუნველყოფას ხელს უწყობს დისციპლინური კომიტეტი.

ინდიკატორი 3.3.1.3. სტანდარტს შეესაბამება

4.სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა ხორციელდება სკოლის შინაგანაწესის და თითოეულ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N8 ხარისხის განვითარების ჯგუფი

დანართი N7 სკოლის შინაგანაწესი

დანართი N 33 ხელშეკრულებები

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას არეგულირებს სკოლის Facebook გვერდით, სკოლის საინფორმაციო დაფის, მშობელთა კრების და ასევე საჭიროების შემთხვევაში სასკოლო საზოგადოების წევრებთან ინდივიდუალური შეხვედრების საშუალებით, სკოლა მომავალში უკუკავშირის მიღების მიზნით აპირებს გამოკითხვების ჩატარებას როგორც ანკეტირების ისე ფოკუს ჯგუფების საშუალებით

ინდიკატორი 3.3.2.1. სტანდარტს შეესაბამება

2. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობას სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, დისციპლინური საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს და მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოების

წევრთა თავისუფალი და კონკურენტუნარიანი არჩევნების ჩატარებით. სამეურვეო საბჭოში არის ადგილობრივი თვითმართელობის წევრი, რომელიც ხმის მიცემის უფლებით სარგებლობს. სწორედ სასკოლო საზოგადოების თხოვნით მიენიჭა სკოლას 2018 წელს ივანე ბერიტაშვილის სახელი.

ინდიკატორი 3.3.2.2. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N8 მშობელთა კრების ოქმი

დანართი N9 კათედრის ოქმი

დანართი N29 მინისტრის ბრძანება სახელის მინიჭებაზე

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;



2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში უსაფრთხო და პიროვნების თავისუფალ განვითარებაზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს უზრუნველყოფს სკოლის დირექცია, კლასის დამრიგებელი, მანდატურის სამსახური. სკოლაში დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები (8 კამერა), საიდანაც კონტროლდება სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი. სკოლას ჰყავს ექიმი, რომელიც უზრუნველყოფს პირველად სამედიცინო დახმარებას. ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, და ცეცხლმაქრები, პირველსართულზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო სტენდი, მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი ეზოსა და შენობის სამივე სართულზე. სკოლის შემოსასვლელ კარებში, დარაჯი ყოველდღიურად, სასწავლო პროცესის დასრულების ბოლომდე აკონტროლებს უცხო პირთა შემოღინებას და აკეთებს აღრიცხვას სპეციალურად გამოყოფილ ჟურნალში. სკოლას არ აქვს შენობის ექსპლუატაციის შესახებ დასკვნა. მაგრამ აქვს გაგზავნილი წერილი სამხარაულის საექსპორტო ბიუროში ამ დასკვნის მიღების მიზნით. სკოლას არ აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამისისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სამსახურთან შეთანხმებული და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ასევე არ აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოგვიდგინა წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებასთან. პირველ სართულზე მოწყობილია ადაპტირებული გარემო სსსმ მოსწავლეთათვის, მოწესრიგებულია რესურსოთახი. სკოლა რეაბილიტირებულია ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ. სკოლამ შესაბამისობის გეგმის ფარგლებში წარმოადგინა რომ შენობის მდგრადობის დოკუმენტს, საგანგებო სიტუაციების სამსახურთან შეთანხმებულ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას და დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ წარმოადგენს 2024 წლის 24 მაისამდე.

ინდიკატორი 3.4.1.1 სტანდარტს მეტწილად შეესაბამება

2.სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;სკოლას ჰყავს მანდატური,სკოლის ტერიტორიაზე დამონტაჟებულია 8 კამერა, ასევე სკოლაში შესასვლელ კართან სპეციალურად გამოყოფილი პირი აკონტროლებს შემოსულ პირებს, ავსებს ვიზიტორთა წიგნს, რომელშიც შეაქვს სკოლაში მონაცემები. სკოლაში გამოვლენილ ნებისმიერ დარღვევაზე ხორციელდება რეაგირება. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დარღვევების სახეები და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები/დისციპლინარული სახდელები.ადგილზე ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინაპროცესების და ადამიანთა უსაფრთხოების დაცვის დოკუმენტი,სადაც გაწერილია პასუხისმგებლობები,ინფორმირებულობის სახეები,აქტივობები და მექანიზმები,რომლებიც უზრუნველყოფენ როგორც პროცესების ისე ადამიანების უსაფრთხოებას.

ინდიკატორი 3.4.1. 2. სტანდარტს შეესაბამება

3. სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის უფლება-მოვალეობების სწორი განაწილება. უსაფრთხო სასწავლო გარემოს შესაქმნელად მასწავლებლები ახორციელებენ ისეთ აქტივობებს და პროექტებს, რომლებიც სასკოლო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას უწყობს ხელს. დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებს თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს. დამრიგებლები კლასის საათის ფარგლებში მოსწავლეებთან განიხილავენ სხვადასხვა თემატიკას,მათ შორის ერთ-ერთი მიმართულებაა ძალადობის, დისკრიმინაციის, ბულინგის თემატიკა.ადგილზე გასაუბრების შედეგად დადგინდა,რომ სკოლას ამ პროცესების უზრუნველსაყოფის ერთ-ერთ მექანიზმად დროული ინფორმირებულობა მიაჩნია. სკოლაში რეალურად არსებობს თანამშრომლობითი გარემო.

ინდიკატორი 3.4.1.3 სტანდარტს შეესაბამება

4.სკოლა უზრუნველყოფს საინტარულო-ჰიგიენურ ნორმების დაცვას სკოლის მტუკის,დამლაგებლების მეშვეობით ,რომელთა საქმიანობა კონტროლდება სკოლის ექიმის მიერ.თითოეულ სართულზე ჰიგიენური ხსნარებით და სველი წესით ყოველდღიურად ხდება საკლასო ოთახების, დერეფნების, კიბის უჯრედების და სველი წერტილების დასუფთავება. სველ წერტილებში გამოკრულია დასუფავების წესი, ხელის დაბანის წესი, პერიოდულად სუფთავდება სკოლის ეზო და მიმდებარე ტერიტორია.

ინდიკატორი 3.4.1.4 სტანდარტს შეესაბამება

5. პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის დოკუმენტი. ასევე სკოლას ბრძანებით გამოყოფილი ჰყავს პერსონალურ მონაცემებზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით - პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ, დადგენილი ნორმებით.

ინდიკატორი 3.4.1.5 სტანდარტს შეესაბამება

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები, კერძოდ პერსონალური მონაცემების დაცვას სკოლაში უზრუნველყოფს დირექტორის ბრძანებით გამოყოფილი უფლებამოსილი პირი - საქმისმწარმოებელი.

სკოლამ ადგილზე ვიზიტისას წარმოადგინა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი სადაც გაწერილია ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემა, რომელიც განსაზღვრავს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პრინციპებს და ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში სწრაფი რეაგირების პროცედურებს. (მუხლი N10)

ინდიკატორი 3.4.1.6 სტანდარტს შეესაბამება

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას ზეპირი ფორმით და როგორც ადგილზე გასაუბრებისას დაგვიდასტურეს შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა აპირებს წარმოდგენილი დოკუმენტის დახვეწას კერძოდ, განსაზღვრავს შეფასების კრიტერიუმებს და ამ შეფასების შედეგების საფუძველზე ცვლილებების შეტანას.

ინდიკატორი 3.4.1.7 სტანდარტს შეესაბამება



დანართი N50. ბრძანება საქმისმწარმოებელზე.

დანართი N6 ადამიანისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი

დანართი N 9 რეაბილიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი

დანართი N 10 სახანძრო უსაფრთხოების დოკუმენტის მისაღებად გაგზავნილი ინვოისი

დანართი N46 ექიმის ხელშეკრულება

დანართი N16 სამხარაულის ექსპერტიზის მიწერილობა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☒ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;



2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტიგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; სკოლის მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა შეესაბამება არსებულ მოსწავლეთა რაოდენობას (400 მოსწავლე) და შესაბამისია საგანმანათლებლო საქმიანობისათვის. 2017-2018 სასწავლო წელს მილენიუმის პროექტის ფარგლებში განხორციელდა სკოლის სრული რეაბილიტაცია, შესაბამისად სკოლაში განთავსებულია: საბუნებისმეტყველო საგნის რესურსებით აღჭურვილი ლაბორატორია, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, ტექნიკური საშუალებების ლაბორატორია, სპორტული დარბაზი, რესურს ოთახი, შშმ პირთათვის სველი წერტილი. (სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს შშმ პირი). სკოლის ტერიტორიაზე განთავსებულია ძველი ამორტიზებული შენობა, რომელიც არ წარმოადგენს საფრთხეს მოსწავლეებისთვის, სრულად იზორილებულია ნებისმიერი პირისთვის. სკოლას 128,7 კვ.მ ფართი გაიჯარებული აქვს ცეკვის წეის ფუნქციონირების მიზნით, 18,5 კვ.მ ფართი ბუფეტის ფუნქციონირების მიზნით. აუქციონის გამოცხადება და გამარჯვებულის გამოვლენა წარიმართა კანონმდებლობის დაცვით,

ინდიკატორი 3.5.1.1 სტანდარტს შეესაბამება

2. სკოლის მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია ყველასთვის. სკოლას ამ ეტაპზე აქვს 517 მერხი, 43 ლეპტოპი 10 კომპიუტერი, 2 პროექტორი და 6 პრინტერი. კომპიუტერულ ლაბორატორიაში გამოკრულია დღიური და საათობრივი განრიგი,

რომელსაც იცნობს სასკოლო საზოგადოება, ასევე ფუნქციონირებს ახალგაზრდული ტექნოლოგიური კლუბების ქსელი, რომლებსაც მატერიალურ-ტექნიკურ ბაზით სკოლა უზრუნველყოფს. საერთო სარგებლობის სივრცეები - გარე სპორტული მოედანი, სააქტო დარბაზი, საჭიროების შემთხვევაში მასპინძლობს არა მხოლოდ სასკოლო, არამედ სათემო აქტივობებსაც. იმართება სხვადასხვა სპორტული, საგანმანათლებლო თუ სახელოვნებო ღონისძიებები. სკოლის ბიბლიოთეკა იღებს სახელმძღვანელოებს, რაც აღრიცხული და დანომრილია. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სამკითხველო მაგიდეები და სარგებლობა შეუძლია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს. ბიბლიოთეკას განსაზღვრული აქვს დებულება.

ინდიკატორი 3.5.1.2 სტანდარტს შეესაბამება

3. სკოლის შესასვლელში სსსმ მოსწავლეებისათვის შექმნილი პანდუსი, აგრეთვე პირველ სართულზე აქვს ადაპტირებული სველი წერტილი, რომელიც სკოლაში ვიზიტის დროს იყო გაუქმებული და ასრულებდა საწყობის როლს. ექსპერტთა რეკომენდაციის შედეგად მოწესრიგდა და დაიბრუნა ფუნქცია ფუნქციონირებს რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსით, საჭიროებიდან გამომდინარე პერიოდულად ხდება სასწავლო მასალებით განახლება. სკოლას ჰყავს 2 სპეციალური მასწავლებელი, 9 სსსმ მოსწავლე. სკოლის საგანმანათლებლო რესურსები თანაბარხელმისაწვდომია ნებისმიერი მოსწავლისათვის.

ინდიკატორი 3.5.1.3 სტანდარტს შეესაბამება

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს და მორგებულია სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებაზე. სკოლის ინფრასტრუქტურა ეხმარება მოსწავლეთა განვითარებას. სპორტული დარბაზი და გარე სპორტული მოედანი ხელს უწყობს მოსწავლეების ფიზიკურ განვითარებას. მუდმივად იმართება სპორტული აქტივობები და შეჯიბრებები.

ინდიკატორი 3.5.1.4. სტანდარტს შეესაბამება

5. სკოლა სრულად რეაბილიტირებულია მილენიუმის პროექტით, სკოლის ინფრასტრუქტურა აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტით მოთხოვნილ ნორმებს. საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია აღჭურვილია საგნების შესაბამისი რესურსებით, კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია საჭირო ინვენტარით. სპორტული დარბაზი ნაწილობრივ აღჭურვილია სპორტული ინვენტარით. სკოლის ბიბლიოთეკა პერიოდულად ახლდება წიგნადი ფონდით. სასკოლო გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს ირჩევენ კათედრები სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სოცო-კულტურულ სივრცეები ღიაა და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის, მასწავლებლები მას იყენებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო თუ შემეცნებითი აქტივობების განსახორციელებლად.

ინდიკატორი 3.5.1.5 სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები)

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ადაპტირებული ტუალეტის ფოტო

დანართი N15 საიჯარო ხელსეკრულებები

დანართი N52 ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი

დანართი N54 უზურფრუქტის დოკუმენტაცია

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას; სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია რომელშიც სკოლა აღჭურვილია ინტერნეტით. 43 ლეპტოპი 10 კომპიუტერი, 2 პროექტორი და 6 პრინტერი. უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. კომპიუტერიულ გაკვეთილები, ასევე სკოლის მასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ საჭიროებისამებრ გამოიყენონ კომპიუტერული ტექნიკა საგაკვეთილო პროცესში, კომპიუტერული ტექნოლოგიების კუთხით სკოლაში, ილიას უნივერსიტეტისა და აშშ საელჩოს მხარდაჭერით ხორციელდება პროექტი: „ახალგაზრდული ტექნოლოგიური კლუბების ქსელი“. კლუბში გაწევრიანებულები არიან მ-8 დან მე-10 კლასის ჩათვლით 15 მოსწავლე, რომლებიც წარმატებით ეუფლებიან გრაფიკულ დიზაინს.

ინდიკატორი 3.6.1.1 სტანდარტს შეესაბამება

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისათვის და სკოლის პერსონელისათვის დღის ნებისმიერ მონაკვეთში, როგორც საგაკვეთილო პროცესის დროს, ასევე გაკვეთილების შემდეგ და არასასწავლო დღეებშიც (ოლიმპიადები, სავალდებულო სასკოლო აქტივობები). ინფორმაციული ტექნოლოგიების ლაბორატორიაში გამოკრულია კომპიუტერებით სარგებლობის განრიგი, რათა პედაგოგებსა და მოსწავლეებს, ადმინისტრაციულ თუ ტექნიკურ პერსონალს გააჩნდეს რესურსებზე თანაბარი წვდომა.

ინდიკატორი 3.6.1.2. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N57. კომპ ქსელის კლუბი.

დანართი N53. კომპიუტერული ლაბორატორიის სარგებლობის განრიგი

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ ინფორმაციის მიღება - გაგზავნა ხორციელდება სკოლის მეილისა და eflow-ს საშუალებით. სკოლას გააჩნია კანონმდებლობის საფუძველზე დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი.

ინდიკატორი 3.6.2.1 სტანდარტს შეესაბამება

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა; სკოლის მართვაში აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, სკოლის დირექცია სარგებლობს ინტერნეტში

ჩართული კომპიუტერული ტექნიკით (ელექტრონული ხელმოწერისთვის საჭირო მოწყობილობა), რაც სკოლას საშუალებას აძლევს მართვისათვის გამოიყენოს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (eflow), სადაც განთავსებულია დირექტორისა და სკოლის მონაცემები. რომლის საშუალებითაც შემოდის ოფიციალური წერილები, იგზავნება პასუხები, ტარდება განცხადებები, გაიცემა საჭირო დოკუმენტაცია და ა/შ.

ინდიკატორი 3.6.2.2. სტანდარტს შეესაბამება

3.ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eschool) სკოლას აქვს საკუთარი სრულყოფილი პროფილი. ელექტრონული ბაზა, საშტატო განრიგი, როგორც პერსონალის, ასევე მოსწავლეების და მშობლების მონაცემებით. ბაზაში იძებნება ინფორმაცია გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებზე, სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებზე, საათობრივი ბადისა და საგაკვეთილო ცხრილის შესახებ.

ინდიკატორი 3.6.2.3. სტანდარტს შეესაბამება

4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისას, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან თანამშრომლობით, ურთიერთობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მართვის საინფორმაციო სისტემასთან, ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან, სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან. აწვდის დროულად საჭირო ინფორმაციას, იღებს და გასცემს შესაბამის უკუკავშირს.

ინდიკატორი 3.6.2.4. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N საქმის წარმოების წესი

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს ვებ-გვერდი ინფორმაციის გავრცელებას აწარმოებს სკოლის facebook გვერდის და სკოლაში არსებული საინფორმაციო დაფის საშუალებით. სკოლამ შესაბამისობის გეგმის ფარგლებში წარმოადგინა, რომ სკოლის ვებ გვერდს აამოქმედებს 2023 წლის 12 ნოემბრამდე.

ინდიკატორი 3.6.3.1. სტანდარტს მეტწილად შეესაბამება

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; სკოლის სოციალური ქსელის FB გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია სკოლის საქმიანობის, განხორციელებული თუ განსახორციელებელი საგანმანათლებლო

პროგრამების, პროექტების, შემეცნებითი ღონისძიებების შესახებ არის სანდო და უტყუარი. სოციალური ქსელის FB გვერდს მართავს სკოლის დირექტორის ბრძანებით დანიშნული პირი- დირექტორის მოადგილე, ნებისმიერი ინფორმაციას გამოქვეყნების წინ გადის ფილტრაციას, მოწმდება ფაქტის ობიექტურობა და სანდოობა.

ინდიკატორი 3.6.3.2. სტანდარტს შეესაბამება

3.სკოლა საკუთარ facebook გვერზე აქვეყნებს მხოლოდ სკოლის ინტერსებიდან გამომდინარე სანდო ინფორმაციას,2023-2024 სწავლო წლიდან სკოლა აპირებს ელექტრონული პლატფორმა microsoft forms საშუალებით გამოკითხოს მოსწავლეები, მშობლები, დაინტერესებული პირები და გამოკითხვის შედეგებით მიღებული უკუკავშირის საფუძველზე გაზარდოს საკუთარი საქმიანობის ხარისხი. სკოლამ შესაბამისობის გეგმის ფარგლებში წარმოადგინა,რომ სკოლის ვებ გვერდს აამოქმედებს 2023 წლის12 ნოემბრამდე.

ინდიკატორი 3.6.3.3 სტანდარტს მეტწილად შეესაბამება

4.სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს ვებ-ვერდი.სკოლამ შესაბამისობის გეგმის ფარგლებში წარმოადგინა,რომ სკოლასამ ეტაპზე აქვს ვებ გვერდი,რომელიც ამოქმედდება 2023 წლის12 ნოემბრამდე.

ინდიკატორი 3.6.3.4 სტანდარტს მეტწილად შეესაბამება

5. ვებ-გვერდის შექმნის შემდეგ სკოლა ინფორმაციას: სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრუქტურის, პროგრამების სახელწოდების, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების, მოსწავლეთა მხარდამჭერის სერვისების, გასაჩივრების მექანიზმების შესახებ განათავსებს. სკოლამ შესაბამისობის გეგმის ფარგლებში წარმოადგინა,რომ სკოლასამ ეტაპზე აქვს ვებ გვერდი,რომელიც ამოქმედდება 2023 წლის12 ნოემბრამდე.

ინდიკატორი 3.6.3.5 სტანდარტს მეტწილად შეესაბამება

მტკიცებულებები (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება, კერძოდ სკოლის დაფინანსების წყაროა ვაუჩერული დაფინანსება და იჯარის შემოსავლები, სკოლას გაიჯარებული აქვს 18,5 კვ მ ბუფეტის ფუნქციონირებისთვის (3წლის ვადით) და 128 კვ.მ დარბაზი ცეკვის წრის ფუნქციონირების მიზნით (1 წლის ვადით) გაიჯარების პროცედურები სრულ შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. აუქციონი გამოცხადდა ორივე შემთხვევაში კანონით გათვალისწინებული ორგანოების ნებართვის შედეგად. გამარჯვებულების გამოვლენის შემდეგ ხელშეკრულებები

გაფორმდა ცეკვის წრის შემთხვევაში 2023 წ 13 ივნისს, ხოლო ბუჯეტის ფუნქციონირების მიზნით არსებულ ფართზე კი 2023 წ.12 ივნისს.

ინდიკატორი 3.7.1.1. სტანდარტს შეესაბამება

2. სკოლას გააჩნია შესყიდვების გეგმა. აღნიშნულ გეგმაში დეტალურად გაწერილია სკოლის საჭიროებები. სკოლის ფინანსური რესურსების დაგეგმვასა და მართვას უზრუნველყოფს სკოლის დირექცია სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით. ყოველი წლის 20 დეკემბრამდე დირექცია ბიუჯეტის პროექტს დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს და მასთან ერთად განიხილავს პრიორიტეტულ საკითხებს.

კათედრების, სამეურვეო საბჭოს, პედაგოგების, საგნის მასწავლებლების, პროექტზე მომუშავე ჯგუფების წერილობითი მომართვის საფუძველზე, სადაც გეგმავენ ახალი სასწავლო წლის რესურსებსა და საჭიროებებს, სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით წერილობითი მომართვის საფუძველზე შიმუშავენ ბიუჯეტის პროექტს, რომელსაც შემდეგ განიხილავს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და ამტკიცებს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა შეიმუშავებს ფინანსურ რესურსების დაგეგმვის, განკარგვისა და მონიტორინგის გამჭვირვალე მექანიზმებს. ტრადიციულად სკოლა ბიუჯეტის ხარჯვას ყოველი სემესტრის ბოლოს თვალსაჩინო ადგილზე, სამასწავლებლოში ათავსებს საინფორმაციო დაფაზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის

ინდიკატორი 3.7.1.2. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები)

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N62 ფინანსური ანგარიში



შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია კანონმდებლობის შესაბამისი შინაგანაწესით.სკოლა ჩართულია USAID-საქართველოს ფარგლებში განხორციელებულ პროექტში“დავიცვათ ქალთა უფლებები“,რომლის ფარგლებში მოსწავლეებს დაურიგდათ საინფორმაციო ბუკლეტები -ბავშვთა უფლებების შესახებ.აქტიურად ხორციელდება სამოქალაქო განათლების სწავლების ფარგლებში სხვადასხვა პროექტი,რაც ხელს უწყობს

მოსწავლის უფლებების დაცვის მიმართულებით ინფორმირებულობის და ამ უფლებების დაცვის გარანტიების უზრუნველყოფას. სკოლამ ადგილზე ვიზიტისას წარმოადგინა პროცესების და ადამიანების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, რომელის ერთ-ერთი მიზანია ბავშვთა უფლებების დაცვა და მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება. სკოლას მიეცა რჩევა შექმნას შიდა რეგულაციის დოკუმენტი მოსწავლეთა უფლებების დაცვის გარანტიისთვის.

ინდიკატორი 4.1.1.1. სტანდარტს შეესაბამება

.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის რეგულაციები გამჭირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კერძოდ სკოლის დერეფნებში გაკრულია მოსწავლის ქცევის წესები, ასევე საჯაროა სკოლის შინაგანაწესი, სკოლაში ფუნქციონირებს სასკოლო კლუბი „ამაღლება“, სადამრიგებლო საათის ფარგლებში სკოლაში მიმდინარეობს მოსწავლის უფლებების გაცნობა და ამ უფლებების დაცვის საკითხებზე მსჯელობა.

ინდიკატორი 4.1.1.2. სტანდარტს შეესაბამება

3. მოსწავლის მშობელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი მკაფიო ხელშეკრულება, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი ორივე მხარის უფლება-მოვალეობები.

ინდიკატორი 4.1.1.3. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N7. სკოლის შინაგანაწესი (მუხლი 16-24).;

დანართი N6. მშობელთა კრების ოქმი - სკოლის შინაგანაწესის გაცნობა.

დანართი N28. მოსწავლეთა და მშობლებისათვის უფლებებისა და მოვალეობების გაცნობის აქტი;

დანართი N 17. სკოლასა და მოსწავლის მშობლის ხელშეკრულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა,საფეხურის დაძლევა,მობილობა,სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/წ ბრძანებით.სკოლის მიერ არ არის შემუშავებული რაიმე სახის დოკუმენტი.სკოლას მიეცა რეკომენდაცია შეიმუშაოს სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის,საფეხურის დაძლევის,მობილობის,სტატუსის შეჩერება და შეწყვეტის პოლიტიკის განმსაზღვრელი რაიმე დოკუმენტი.

ინდიკატორი 4.1.1.სტანდარტს შეესაბამება

2. . სკოლა იცავს განათლებისა და მეცნიერების 2017 წლის 11 იანვრის ბრძანება N 04/ნ-ით განსაზღვრულ მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის ყველა პროცედურას. პირველ კლასში მიღება, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება, სსსმ მოსწავლეთა ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. სსსმ მოსწავლეთა ჩარიცხვის შემთხვევაში, სკოლაში იქმნება ისე ჯგუფი, რომელიც მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე ადგენს ინდ. გეგმას.

ინდიკატორი 4.1.1.2. სტანდარტს შეესაბამება

3. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან, ისინი დამრიგებლების მხრიდან მუდამ ინფორმირებულნი არიან სკოლის სხვადასხვა მომსახურების შესახებ. სკოლაში, მეხუთე კლასიდან, მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომია მეორე უცხო ენა, სკოლის მიერ ხდება მშობლებისთვის მეორე უცხო ენათ რუსულის და გერმანული ენის სწავლების შეთავაზება, თუმცა როგორც ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა მოსწავლეთა მშობლების მხრიდან არჩევანი კეთდება მხოლოდ რუსული ენის სწავლებაზე. ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია განთავსებულია სკოლის პირველ სართულზე საინფორმაციო დაფაზე, მიეწოდებათ მშობლებს სკოლის მეილების, სკოლის სოციალური ქსელის გვერდის ან კლასის დამრიგებლების მიერ შექმნილი სოციალური ქსელის დახურული ჯგუფების მეშვეობით. სკოლაში პარასკევი დღე დადგენილია მშობელთა მიღების დღედ. კლასის დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში კლასის პირველივე მშობელთა კრებაზე აცნოს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სკოლის შენაგანაწესს. მშობელი შინაგანაწესის გაცნობას ადასტურებს ხელმოწერით.

ინდიკატორი 4.1.1.3. სტანდარტს შეესაბამება



4.სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, აქტივობების და რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. კერძოდნებისმოერი ახალი ინფორმაციის განთავსება ხდება სკოლის საინფორმაციო კდაფაზე და სკოლის Facebook გვერდზე.ამ პროექტებსა და აქტივობებში მოსწავლეთა ჩართულობა დასურდება სკოლის დერეფნებსა და საკლასო ოთახებში განთავსებული მოსწავლეთა მიერ შექმნილი მასალებით.

ინდიკატორი 4.1.1.4. სტანდარტთან შესაბამისია

მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N22. დირექტორის ბრძანება- პირველკლასელთა ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა-აღდგენა.

დანართი N21. დირექტორის ბრძანება საფეხურის დაძლევაზე.

დანართი N7. სკოლის შინაგანაწესი (მუხლი 16-19).;

დანართი N6. მშობელთა კრების ოქმი შინაგანაწესის გაცნობა.

დანართი N49. ოქმი-სადამრიგებლო საათის თემატიკა.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს შემუშავებული მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის რაიმე სახის დოკუმენტი თუმცა სკოლა რეალურად ახორციელებს ნებისმიერი უნარის და ასაკის მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის პროცესს. კერძოდ, ახალი მოსწავლის გადმოსვლისას დამრიგებელი აცნობს სასკოლო გარემოს, სკოლის შინაგანაწესს და ადგენს მოსწავლის საჭიროებებს. პირველ კლასელთა შემთხვევაში სკოლა მშობლებთან შეხვედრას აწყობს სწავლის დაწყებამდე 1 კვირით ადრე და აცნობს სასკოლო გარემოს და სასკოლო წესებს. სკოლას მიეცა რჩევა შექმნას მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის შიდა სასკოლო დოკუმენტი, რომელშიც გაიწერება ის ნაბიჯები, რასაც სკოლა რეალურად ახორციელებს.

ინდიკატორი 4.2.1.1.სტანდარტს შეესაბამება

2. სასკოლო სივრცის სწორად მოწყობის ფორმა და სკოლის ფიზიკური გარემო მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოსწავლეთა სასკოლო აქტივობებში ჩართვას. სკოლის შენობა ისეა ორგანიზებული, რომ მათთვის ნებისმიერი სივრცე ხელმისაწვდომია, ორიენტირება კი ადვილად შესაძლებელი. სკოლა სექტემბრის პირველი რიცხვებში, სწავლის დაწყებამდე, პირველ კლასში შემომსვლელ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს იწვევს სკოლაში ღია კარის დღეზე. ხდება შეხვედრა, გასაუბრება, ურთიერთგაცნობა, მშობელთა მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა, სკოლის შენობის დათვალიერება. სკოლაში ახალი მოსწავლის შემოსვლის შემთხვევაში კლასის დამრიგებელი უზრუნველყოფს მოსწავლის გაცნობიერებას მისთვის საინტერესო საკითხებში.

ინდიკატორი 4.2.1.2.სტანდარტს შეესაბამება

3. აკადემიური მიღწევის გაუმჯობესების კუთხით სკოლა იყენებს განმავითარებელ შეფასებას. მასწავლებლები მიმართავენ ხშირად ზეპირ განმავითარებელ კომენტარს, ასევე წერილობით განმავითარებელ კომენტარსაც. როგორც მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა მასწავლებლები მოსწავლეების ჩართულობით შეიმუშავებენ შეფასების კრიტერიუმებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში თვითშეფასების უნარის განვითარებას. სკოლა განმავითარებელ შეფასებად იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის ინსტრუმენტს. მასწავლებლები საჭიროების შემთხვევაში ატარებენ ინდივიდუალურ შეხვედრებს, დამრიგებლები მუდამ მზად არიან მოსწავლეთა მხარდასაჭერად. ისინი აკვირდებიან მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, მათ ქცევას, მდგომარეობას. პრობლემის შემთხვევაშიადაგენენ გამომწვევ მიზეზს და მოსწავლეს ეხმარებიან პრობლემების გადაჭრაში, აქვთ მუდმივი კომუნიკაცია მშობელთან სატელეფონო ზარის, სოციალური ქსელის დახურული ჩატის საშუალებით.

ინდიკატორი 4.2.1.3.სტანდარტს შეესაბამება

4. სკოლა კანონით დადგენილ ვადაში, სრული კონფიდენციალურობის დაცვით, გაცემს საჯარო ინფორმაციას საჯარო სამსახურების, მოსწავლისა და მშობლის მოთხოვნის შესაბამისად (იუსტიციის სახლი, სამხედრო სავალდებულო სამსახური და ა.შ). მშობელთა კრებაზე დამრიგებელი აცნობს მშობლებს სკოლის შინაგანაწესს, სასკოლო კალენდარს, სკოლის შეფასების სისტემას, ბავშვის უფლება-მოვალეობებს, კლასის საათის თემატიკას, შინ სწავლების მექანიზმებს, არჩევით საგნების ჩამონათვალს, სასკოლო რესურსების სარგებლობის მექანიზმებს.

ინდიკატორი 4.2.1.4. სტანდარტს შეესაბამება

5. სკოლისათვის პრიორიტეტია მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერა და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, ხორციელდება მოსწავლეთა მიერ ორგანიზებული და დაგეგმილი არაერთი საგანმანათლებლო პროექტი, აქტიურად მუშაობს თვითმმართველობა. სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი „ამაღლება“ და ეკოკლუბი „მწვანე ნათება“. კლუბები გეგმავენ და ახორციელებენ სასკოლო და საკლასო პროექტებს. სამოქალაქო განათლების კლუბი 3 წლის განმავლობაში აქტიურად იყო ჩართული პროექტში „მომავლის თაობა“, რომელსაც ახორციელებდა ამერიკული ორგანიზაცია PH International ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით და საქართველოს განათლების, მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით. პროექტის ფარგლებში კლუბმა დაგეგმა და განახორციელა შემდეგი პროექტები: „სუფთა წყალი-ჯანმრთელობის საწინდარი“; „როგორ გავხდეთ მეწარმე“; „ჩემი მომავალი პროფესია“; „დავიცვათ და გადავარჩინოთ ვეჯინის კულტურული მემკვიდრეობა“; „სახალხო დამცველი-ხალხის სამსახურში“; „ადამიანის უფლებები და მოვალეობები“; „გენდერული ბალანსი-ჩემი უსაფრთხოების საწინდარი“. ეკოკლუბმა „მწვანე ნათება“ განახორციელა შემდეგი პროექტები: „მყარი ნარჩენები“; „დედამიწა ჩემი სახლია“; „გავუფრთხილდეთ ბუნებას“. განხორციელებული პროექტების მიზანი იყო სკოლებში დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლებისა და საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის გზით საქართველოში დემოკრატიის გაძლიერება და სამოქალაქო საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, უსაფრთხო გარემოსა და თავისუფალი სივრცის შექმნა, რომელიც 21-ე საუკუნის პიროვნებისა და მოქალაქის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის კონკურსში ჩართულია ეკოკლუბი „მწვანე ნათება“, რომლის წევრები თავად გეგმავენ და ატარებენ ისეთ აქტივობებს, რომელთა მიზანი სწორედ სამივე საფეხურის მოსწავლეთა გააქტიურებაა არაფორმალური განათლების გზით. მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად მიმდინარე

სასწავლო წელს ეკოკლუბის წევრ მოსწავლეებს უკვე ჩატარებული აქვთ რამოდენიმე საგანმანათლებლო და შემეცნებითი აქტივობა და პროექტი: „ივანე ბერიტაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“. მოსწავლეთა ინიციატივების გასათვალისწინებლად სკოლა მიმართავს სხვადასხვა გზას. დირექტორი თანამშრომლობს მოსწავლეთა თვითმმართველობასთან და მართავს შეხვედრებს მოსწავლეებთან, ისმენს მათ ინიციატივებს, მხარს უჭერს და მიმართავს წახალისების სხვადასხვა ფორმებს (სიტყვიერი მადლობა, სიგელი, მცირე ფასიანი საჩუქრები).

ინდიკატორი 4.2.1.5.სტანდარტს შეესაბამება

6.სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა,რომლის ფარგლებში მოსწავლეები იკვლევენ თანატოლების საჭიროებებს და ინტერესებს.ამ ეტაპზე გამოკითხვა მიმდინარეობს ზეპირი ფორმით.სკოლა 2023-2024 სასწავლო წლიდან გეგმავსსხვადასხვა პლატფორმის მეშვეობით შეიმუშავოს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ინსტრუმენტები და გამოკითხვის შედეგები გამოიყენოს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორი 4.2.1.6.სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N14. შეფასების კრიტერიუმი

დანართი N 19. მოსწავლის სიგელები

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სამოქალაქო განათლების კლუბმა, წარმატებული პრაქტიკის გაზიარების მიზნით, სკოლაში მოიწვია სტუმრად მეწარმე. ძირითადი იდეა იყო მცირე საოჯახო ბიზნესის წამოწყებისა და მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა და მოსწავლეების დაინტერესება პროფორიენტაციის კუთხით მომავალი პროფესიის არჩევანის გასაკეთებლად. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს კაჭრეთის მრავალპროფილიან კოლეჯ „აისთან“. 2023-2024 სასწავლო წლისთვის იგეგმება სკოლასა და კოლეჯს შორის მემორანდუმის გაფორმება. 2023-2024 სასწავლო წლის გეგმაში მეტი ყურადღება დაეთმო პროფორიენტაციის ამაღლების კუთხით სხვადასხვა კოლეჯებთან და პროფესიულ სასწავლებლებთან სისტემატიურ თანამშრომლობას. სკოლის მოსწავლეები ჩართულები არიან გურჯაანის ტექნოპარკის მიერ ინიცირებულ პროექტში: „ახალგაზრდული ტექნოლოგიური კლუბების ქსელი“

ინდიკატორი 4.2.2.1. სტანდარტს შეესაბამება

2. სკოლა Facebook გვერდის და სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში ასევე ინდივიდუალური თუ ერთობლივი შეხვედრების საშუალებით მშობლებს და მოსწავლეებს მუდმივად აწვდის განახლებულ ინფორმაციას კარიერული წინსვლის შესახებ. IX კლასის მოსწავლეები საკლასო პროექტი : „ჩემი მომავალი პროფესია - ენერგეტიკა“, ფარგლებშიც ეწვივნენ სოფელში მდებარე ჰიდროელექტროსადგურს, ვეჯინის ალაზანჰესს, გაეცნენ მისი მუშაობის პრინციპებს, შეხვედრა გამართეს ჰესის თანამშრომლებთან კითხვა - პასუხის რეჟიმში. 2023-2024 სასწავლო წლიდან, გეგმავს ამ პრაქტიკის ფართოდ გამოყენებას.

ინდიკატორი 4.2.1.2. სტანდარტს შეესაბამება

3.სკოლა თავის სამომავლო საქმიანობის დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს წინა წლის შედეგების ანალიზს .ამ ეტაპზე ეს პროცესი ხორციელდება ზეპირი გამოკითხვების შედეგებზე დაყდნობით,მომავალი 2023-2024 სასწავლო წლიდა სკოლა აპირებს სასკოლოსაზოგადოების გამოკითხვის ინსტრუმენტების შემუშავებას და ამ შედეგების გათვალისწინებას მომავალი პროცესების დაგეგმვისას.

ინდიკატორი 4.2.1.3.სტანდარტს შეესაბამება

(მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის სწავლა/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა მიმართულებებს. მაგ: ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისში არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, თითოეულ სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესებს, საგნის

მასწავლებლების, მშობლების და სპეციალური მასწავლებლის ჩართულობით. ბიუჯეტის ფარგლებში სკოლა იძენს სხვადასხვა რესურსს. რომელიც ხელს უწყობს სსსმ მოსწავლის აკადემიური და შემეცნებითი უნარების განვითარებას.

ინლუზიურ განათლებაზე შიდა მონიტორინგის განხორციელების მიზნით, სკოლის დირექტორს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი აქვს შიდა მონიტორინგის ჯგუფი და განსაზღვრული აქვს მისი უფლებამოსილებები. სკოლა შიდა მონიტორინგს ახორციელებს წლის ბოლოს, წელიწადში ერთხელ, ხოლო შუალედურ მონიტორინგს პირველი სემესტრის ბოლოს. სკოლას ჰყავს ორი სპეციალური მასწავლებელი და 9 სსსმ მოსწავლე. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა თითოეული სსსმ მოსწავლისათვის ბრძანებით ამტკიცებს ისე ჯგუფს, რომელიც მთელი წლის განმავლობაში მუშაობს სსსმ მოსწავლესთან. ისე ჯგუფის შეხვედრა წელიწადში იმართება მინიმუმ ოთხჯერ.

სკოლაში შექმნილია ადაპტირებული გარემო და რესურს ოთახი, რომელიც სპეციალურად მოეწყო სსსმ მოსწავლისათვის.

სკოლას ასევე აქვს პანდუსი.

ინდიკატორი 4.2.3.1. სტანდარტს შეესაბამება

2. სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისე) ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. დამრიგებელი, საგნის მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებელი მუდმივ კომუნიკაციაში არიან მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელთან. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობით უზრუნველყოფილია მოსწავლის შესაძლებლობებზე მორგებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა/განხორციელება. ისე ჯგუფის შეხვედრა მინიმუმ ოთხჯერ იმართება. ამ შეხვედრებზე განიხილება მოსწავლის მიღწევის ეტაპები და მოუგვარებელი პრობლემები, როელთა საფუძველზე საჭიროებისამებრ შედის ცვლილება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში. ნებისმიერი ცვლილება ხორციელდება მშობელთან შეთანხმების და არგუმენტების საფუძველზე.

ინდიკატორი 4.2.1.2. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N23 ინკლუზიური სწავლების სამოქმედო გეგმა

დანართი N26 ისგ მონიტორინგი

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გაიჯარებული აქვს სასკოლო სასკოლო 18.5 კვ.მ ბუფეტის სარგებლობისთვის და 128,7 კვ. მ 1 წლის ვადით ცეკვის სტუდიის ფუნქციონირების მიზნით. გაიჯარების პროცესი შესაბამისია კანონმდებლობასთან.

ინდიკატორი 4.2.4.1. სტანდარტს შეესაბამება

2. სკოლის ამ ეტაპზე არ აქვს რაიმე სახის დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების

ინდიკატორი 4.2.4.2.სტანდარტს შეესაბამება

3.სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს რაიმე სახის დამატებითი არასავლდებულო ხასიათის მომსახურეობა

ინდიკატორი 4.2.1.3.სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

დანართი N15 საიჯარო ხელშეკრულება

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

..

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე



სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ V შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ V შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ V შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ V შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესების დაგეგმვისას გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. დოკუმენტი ქმნის თანამედროვე საგანმანათლებლო პარადიგმის რეალიზების შესაძლებლობებს. ასევე, ჩანს მიმართებები სასწავლო პროცესის სხვადასხვა ელემენტებს შორის, გამოკვეთილია ფუნქციები და პასუხისმგებელი პირები კურიკულუმის განვითარების პროცესში.

საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევით: სასურველია, სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების შესაწავლისა და კურიკულუმში ასახვის მიზნით, მეთოდოლოგიაში უფრო მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, მთელი წლის განმავლობაში, რა ფორმით, როგორი ინტენსივობით, რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით მოხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა, და გათვალისწინება. ასევე, მნიშვნელოვანია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ფრაგმენტულად არსებული ზოგადი ჩანაწერები დაზუსტდეს სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.1.1.1 სტანდარტის შეესაბამება

2. საგნობრივი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სწავლა-სწავლების მიზნებისა და სასწავლო პროცესის აღწერაში, ჩანს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და მათი რეალიზების/ყოველდღიური სასწავლო პროცესთან დაკავშირების მექანიზმები. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია



ითვალისწინებს კურიკულუმის განვითარებას მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; სკოლას წარმოდგენილი აქვს დამრიგებლის წლიური პროგრამა, დაწყებითების კათედრის სხდომის ოქმი, მშობელთა კრების ოქმი, (მეორე უცხოური ენის არჩევის შესახებ) რომელთა საფუძველზეც იკვეთება სასკოლო საზოგადოების წევრების კომუნიკაცია სკოლასთან და მათი ინტერესების გათვალისწინება. თუმცა, ინტერვიუს დროს, სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავებისას მოსწავლეების და მშობლების უფრო აქტიური ჩართულობისთვის გეგმავენ გამოკითხვას, ინტერვიუს, ფოკუს ჯგუფების ჩატარებას.

ინდიკატორი 2.1.1.2. სტანდარს შეესაბამება

3. საგნობრივი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კერძოდ განსაზღვრულია მასწავლებლების, კათედრებისა და დირექციის ფუნქციები და პასუხისმგებლობები, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოსაყენებელი საკომუნიკაციო არხები. საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივ კურიკულუმს შეიმუშავებს მასწავლებელი და განსახილველად წარადგენს კათედრაზე. სკოლას აქვს წარმოდგენილი კათედრის ოქმი, რომელშიც ჩანს კათედრის წევრების ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებაში. კოლეგებთან შეთანხმებით შემუშავდება კურიკულუმის საბოლოო ვერსია, რაც დამტკიცდება მომდევნო სასწავლო წლის დასაწყისში. მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწერილია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უნდა უძღოდეს წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზი და ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრების შეხედულებების კვლევა, რომელიც სასწავლო წლის განმავლობაში ციკლურად მიმდინარეობს.

ინდიკატორი 2.1.1.3. სტანდარს შეესაბამება

4. ექსპერტები სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებელთა ინტერვიუების შედეგად ასკვნიან, რომ სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ხაზგასმით არის აღნიშნული სასკოლო საზოგადოების წევრების აქტიური ჩართულობის საკითხი, განსაზღვრულია პროცესში ჩართული მხარეები, მათი ფუნქციები და როლი. ამავე დოკუმენტში საუბარია მშობელთა ინფორმირებაზე კურიკულუმის სკოლის ვებ-გვერდზე ატვირთვით, ელ-ჟურნალის გამოყენებით, შ სისტემით, კომპლექსური დავალებების ბარათების გაგზავნით. ვიზიტის დროს კი მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის დასაწყისში, კლასის დამრიგებლები მოსწავლეებსა და მათ

მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობენ სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამის საკითხებს, რაც დასტურდება დამრიგებლის წლიური სამუშაო გეგმითა და მშობელთა კრების ოქმით.

საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევა: სასურველია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში უფრო მკაფიოდ გაიწეროს გაზიარების სხვადასხვა ფორმა და ინსტრუმენტები, რომლებიც უკეთ წარმოაჩენდა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები საკუთარ საქმიანობას უკავშირებენ კურიკულუმსა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილ მასალას და აქვთ მიკუთვნებულობის განცდა.

ინდიკატორი 2.1.1.4. სტანდარს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები
- დამრიგებლის წლიური სამუშაო გეგმა - დანართი 2
- დაწყებითის კათედრის სხდომის ოქმი - დანართი 3
- მშობელთა კრების ოქმი - დანართი 4
- უცხო ენის კათედრის ოქმი N 6 (5 ივლისი 2023 წელი)
- მე-4 კლასის მშობელთა კრების ოქმი N 1 (31 .05.2023)
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- მასწავლებელთა ინტერვიუ

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს



1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგნობრივი ექსპერტების მოკვლევით, სკოლას შემუშავებული აქვს საგნობრივი კურიკულუმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების შესაძლებლობას. ინტერვიუებისას გამოჩნდა, რომ პედაგოგები შეძლებისდაგვარად ცდილობენ ორიენტირებას გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე, საფეხურის შედეგებზე და ცდილობენ მოსწავლეთა ნამუშევრების, როგორც შუალედური მიზნების ანალიზი გამოიყენონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო მიზნების რეალიზებისათვის.

ინდიკატორი 2.1.2.1 სტანდარს შეესაბამება

2. ექსპერტთა დასკვნით, დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში სავალდებულო თემის ფარგლებში, მუშავდება ყველა სამიზნე ცნება და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. დაგეგმილი პროცესი მიზანმიმართულია გლობალური ექვსი ფუნქციური უნარის, კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის განვითარებაზე. კათედრებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრებს აქვთ საკმარისი გამოცდილება და მზაობა რათა მათი სასკოლო კურიკულუმები მიმართონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პროცესში, ორივე სემესტრში მუშავდება პროექტები, მსჯელობას ამყარებს USAID -ის ბიზნეს ფორუმის ფარგლებში დაფინანსებული პროექტით სკოლის ეზოში მოწყობილი გარე სცენა, რომელიც ჯერ-ჯერობით დანერგვისა და შემუშავების ეტაპზეა. პროექტის ფარგლებში გაწერილია ნაბიჯები, რაც მოსწავლეს ხელს უწყობს განუვითარდეს გლობალური ფუნქციური უნარები. პროექტული სწავლების დროს მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად პროდუქტის შექმნისას, პრობლემის გადაჭრას შემოქმედებითად მიუდგეს, გამოუმუშავდეს

თანამშრომლობითი უნარები. აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური აქტივობების შესახებ მსჯელობა.

საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევა: სასურველი და მნიშვნელოვანია კურიკულუმებში თითოეულ თემის დონეზე ყველა სამიზნე ცნებაზე ორიენტირება, კონტექსტ-მაგალითებისა და კომპლექსური დავალების იდეების გაწერა შესაბამისი რესურსების მითითებით უფრო სრულყოფილი სახით.

ინდიკატორი 2.1.2.2. სტანდარს შეესაბამება

3. ექსპერტთა მირ შესწავლილი მტკიცებულებებისა და ინტერვიუების შედეგად დგინდება, რომ დაწყებით საფეხურზე, კათედრების სხდომებზე მასწავლებლები სემესტრულად განიხილავენ მოსწავლეთა მიერ მიღწეულ შედეგებს, ანალიზებენ და გამოაქვთ სათანადო დასკვნები, თუ რა სახის ინტერვენციების, მათ შორის დამატებითი მუშაობის, განხორციელება დასჭირდებათ გამოვლენილი ნაკლოვანებების დასაძლევად (მაგ: დაწყებითი კათედრის სხდომის ოქმი #3, მაისი, 2023წ, საკითხი 1 და 2). ამ პრობლემის დასაძლევად მასწავლებლები აგრეთვე იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, აჯგუფებენ მოსწავლეებს საჭიროებების შესაბამისად და კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე წარმართავენ სასწავლო პროცესს. ამით ისინი უზრუნველყოფენ სწავლის თანაბარ ხელმისაწვდომობას საკლასო სივრცეში. დიაგნოსტიკის სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით გამოავლენენ იმ მოსწავლეებს, რომლებსაც სირთულეები აქვთ ფუნდამენტური უნარების (წიგნიერება და მათემატიკა) მიმართულებით და სირთულეთა დასაძლევად საჭიროებენ დამატებით ინტერვენციას. მასწავლებლები ასევე აღნიშნავენ, რომ მათ აქვთ სსსმ მოსწავლეზე მორგებული ისგ-ს შექმნისა და განხორციელების პრაქტიკა, რაც იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ სწავლების ინდივიდუალურ ფორმებს. მოსწავლეებს ასევე ეძლევათ დავალებები პროდუქტის დიფერენცირებით. ისინი თავად წყვეტენ, რა ფორმით მოამზადონ კომპლექსური დავალების პროდუქტი.

ინდიკატორი 2.1.2.3. სტანდარს შეესაბამება

4. დაწყებითი საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და შეფასების ნიმუშები. შეფასების რუბრიკები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სხვადასხვა საგანში ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. საგნის მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული, თუ როგორ უნდა მოახდინონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და მოსწავლეებისათვის კონსტრუქციული რეკომენდაციების მიცემა კონკრეტულ საკითხთან მიმართებით. საგნობრივი ექსპერტების თქმით, მასწავლებლებთან გასაუბრებისას ნათლად გამოჩნდა, რომ კათედრაში შემავალ საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება, როგორც ერთი მთლიანი პროცესი

საზოგადოებრივი ექსპერტი გასცემს რჩევას: სასურველი და მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასების რუბრიკების თითოეული კომპლექსური დავალებისთვის შექმნა დასამუშავებელი სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან კავშირით. თითოეული სავალდებულო თემისთვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების მომზადება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორების საფუძველზე.

ინდიკატორი 2.1.2.4. სტანდარს შეესაბამება

5. ექსპერტები შეწავლილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე აღნიშნავენ, რომ კათედრებზე კურიკულუმების შედგენისას გაითვალისწინეს მიმდინარე სასწავლო წლის წარმატებული გამოცდილება და გამოვლენილი სირთულეები, რომელთა შესახებაც ინფორმაციას აზიარებენ კათედრის სხდომებსა თუ პირად საუბრებში.. სასკოლო გეგმაშიც ხაზგასმულია, რომ სკოლისთვის ჩვეული ტრადიციას, არსებული კურიკულუმების ანალიზზე დაფუძნებით ახლის შედგენა-დაგეგმვა. დასახელდა ის კომპლექსური დავალებები რომელთა შესრულების დროსაც მოსწავლეებმა განსაკუთრებული ინტერესი და მოტივაცია გამოავლინეს და სწორედ ამ ნიშნით შეირჩა ისინი მომდევნო სასწავლო წლისთვისაც. სკოლაში მომზადებულია 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმების პროექტი, უცხოური ენების კათედრის N 6 ოქმში აღწერილია, რომ პედაგოგებმა ითვალისწინებენ 2022-2023 სასწავლო წლის გამოცდილებას.

ინდიკატორი 2.1.2.5. სტანდარს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უცხო ენების კათედრის სხდომის ოქმი N 6
- სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- დანართი N8 სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა,
 - კომპლექსური დავალებები
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა

- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო ყველა კლასისთვის დაწყ. კლასებში;
- მასწავლებელთა ინტერვიუ;
- განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები დაწყებით კლასებში;
- კათედრის სხდომის ოქმები დაწყებით საფეხურზე.
 - დამრიგებლის წლიური სამუშაო გეგმა
 - ისგ შექმნის ბრძანება

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;



4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში აღწერილი კომპლექსური დავალებების შინაარსზე, მიზნებსა და მითითებულ განსახორციელებელ აქტივობებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი ცდილობენ დაწყებითი კლასების სხვა პედაგოგებთან ერთად საერთო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებას და ამ მხრივაც ცდილობენ მოსწავლეთა მოტივირებისა და ჩართვას მათივე შესაძლებლობებიდან და ინერესებიდან გამომდინარე.

საზოგადოებრივი მენიერებების ექსპერტის რჩევით: სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება-ანგარიშგება.

ინდიკატორი 2.2.1.1 სტანდარს შეესაბამება

2. დაწყებით საფეხურზე, კურიკულუმები იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტების შემოტანას ხელს უწყობს სკოლის მიერ საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები. ამ მხრივაც გაუმჯობესებას საჭიროებს კომპლექსური ბუნების დავალებების ფრაგმენტული სახით არსებობა. დამრიგებლის წლიურ სამუშაო გეგმაში გაწერილია სადამრიგებლო პროექტები და აქტივობები, წლის მანძილზე განსახილველი თემები, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მოსწავლის გამოცდილებასთან დაახლოებას.

ინდიკატორი 2.2.1.2. სტანდარს შეესაბამება

3. ექსპერტთა დასკვნით, რომელიც წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და მასწავლებელთა ინტერვიუს ეფუძნება, მასწავლებლები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ მეტაკოგნიციას. სხვადასხვა სქემებისა და მათგან მიღებული გამოყენება ეხმარება მოსწავლეებს დააკვირდნენ საკუთარი სწავლის პროცესს და გააანალიზონ, რა ფაქტორები ახდენს მათზე

გავლენას. კრიტიკულ აზროვნებაზე გათვლილი კითხვები: „რა იყო შენთვის ყველაზე მეტად საინტერესო, რომელსაც აუცილებლად გამოიყენებ პრაქტიკაში? რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? - საშუალებას აძლევს მოსწავლეებს დაფიქრდნენ და გაიაზრონ, რა ეხმარებათ სწავლაში. ზოგადად, კომპლექსურ დავალებებში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება, დამოუკიდებელი მუშაობა, თვითრეფლექსია.

ინდიკატორი 2.2.1.3. სტანდარს შეესაბამება

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში/ჩარჩოებში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება. ამის დასტურია კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლის შესრულებაც მოითხოვს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, მოქმედების წესებსა და სტრატეგიებს, და ცოდნის მოქმედებაში გადატანას, გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. მასწავლებლებმა საგნობრივ ექსპერტებთან ინტერვიუების პროცესში მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებზე ისაუბრეს და მტკიცებულებად ნამუშევრებიც წარმოადგინეს.

ინდიკატორი 2.2.1.4. სტანდარს შეესაბამება

5. დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში ერთი თემის ფარგლებში სკოლას აქვს კომპლექსური დავალების განხორციელების პრაქტიკა (ფრაგმენტულად) რაც თავისი ბუნებით უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, დამრიგებლის წლირ გეგმაში გაწერილია არაფორმალური ხასიათის პროექტები/ლონისძიებები/აქტივობები, რაც ხელს უწყობს ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებას.

ინდიკატორი 2.2.1.5. სტანდარს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- მასწავლებელთა ინტერვიუ;
- განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია



- დამრიგებლის წლიური სამუშაო გეგმა
- კომპლექსური დავალებების შემაჯამებელი განმავითარებელი რუბრიკა
- ინსტრუმენტები მიმდინარე შეფასებისთვის
- მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- ისგ შექმნის ბრძანება
- მე და საზოგადოება, კომპლექსური დავალება პროგრამირების ენა „სკრეჩი“ გამოყენებით, IV კლასი,

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პედაგოგებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით საგნობრივი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ წარმოდგენილ კურიკულუმის ნიმუშებში მკაფიოდ არის გამოკვეთილი სამიზნე ცნებები და მათზე დაყრდნობით გამოკვეთილია ქვეცნებათა იერარქია. სასწავლო პროცესი იმგვარადაა დაგეგმილი, რომ ხელი ეწყობა სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებების გათავისებებას სხვადასხვა კონტექსტში. კომპლექსური დავალების პირობაში ცნების მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზე კი

შეფასების კრიტერიუმები (ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ). ეს დასტურდება კურიკულუმში ასახული კომპლექსური დავალებებითა და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსებით.

ინდიკატორი 2.2.2.1 სტანდარს შეესაბამება

2. ექსპერტები სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ცხადყოფენ, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაც. ამ მიზნით შერჩეული საგნობრივი კონტექსტები და წარმოდგენილი აუდიო-ვიდეო რესურსები, ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კონტექსტები შერჩეულია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები საჭიროებები და ასაკობრივი თავისებურებები.

ინდიკატორი 2.2.2.2 სტანდარს შეესაბამება

3. ექსპერტები ასკვნიათ, რომ სკოლაში შეფასების სისტემა ორიენტირებულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასა და განვითარების ხელშეწყობაზე, სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია სხვადასხვა განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რაც სკოლის პრაქტიკაში გამოიყენება. აგრეთვე დანართებში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რამდენიმე ნიმუში. ხდება ჰოლისტური მიდგომის მხარდაჭერა. სკოლის მიერ წამოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს სასწავლო პროცესზე ორიენტირებულ კურიკულუმს და ჩანს, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. მათთვის ნაცნობია ეროვნული სასწავლო გეგმის მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმი- სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდოლოგიური ორიენტირების რეალიზებას საშუალებას. გამოიკვეთა ასევე, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტიკა განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით. ასევე სკოლა ჩართულია USAID საბაზისო განათლების პროგრამაში. აქედან გამომდინარე, მასწავლებლები კარგად იცნობენ და პრაქტიკაში ნერგავენ მრავალფეროვან განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს, ქმნიან და იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. მათ შედეგაში კი უპირატესობა ენიჭება მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას. მასწავლებელთა მიერ ზეპირი, კომპლექსური დავალებების შეფასებისა და სემესტრისა და სასწავლო წლის ბოლოს გაკეთებული განმავითარებელი შეფასებები, რომელიც წინასწარ შედგენილ რუბრიკას ეფუძნება, ცალსახად მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზეა ორიენტირებული.

ინდიკატორი 2.2.2.3. სტანდარს შეესაბამება

4. შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები ჩართული არიან შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში, რაც ზრდის სანდოობას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით დაწყებითი კლასების მშობლებთან კრებებზე წინასწარ აცნობებს მისაღწევ მიზნებს და იმ ზოგად კრიტერიუმებს რის მიხედვითაც ზეპირსიტყვიერად ფასდება მოსწავლის შედეგები.

ინდიკატორი 2.2.2.4. სტანდარს შეესაბამება

5. როგორც ექსპერტები შესწავლილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ასკვნიან, სკოლას არ აქვს წარმოდგენილი, თუ როგორ გეგმავს შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციას, პროცესის ვერიფიკაციას და შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაციას; სკოლას ესაჭიროება შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება.

ხარვეზი- წარმოდგენილი დოკუმენტაციით სკოლას არ აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი. სკოლამ უნდა შეიმუშაოს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც უზრუნველყოფს სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემის დახვეწა-განვითარებას. სკოლამ შესაბამისობის გეგმის ფარგლებში წარმოადგინა ვერიფიკაციის დოკუმენტი

ინდიკატორი 2.2.2.5. სტანდარს შეესაბამება

6. წარმოდგენილი დოკუმენტაციით ექსპერტები ადგენენ, რომ სკოლა მოსწავლეთა შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს აფიქსირებს მოსწავლეთა პირად საქმეში, ელექტრონულ ჟურნალში, დამრიგებლის ანგარიშში, რაც შეესაბამება კანონმდებლობას. აგრეთვე მოსწავლეთა ნამუშევრებს ინახავენ კათედრზე.

ინდიკატორი 2.2.2.6. სტანდარს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სადამრიგებლო პროგრამა.
- პროექტი

- შეფასების რუბრიკები
- სასკოლო სასწავლო გეგმა,
- საგნობრივი კურიკულუმები
- შემაჯამებლების ანალიზები;
- შეფასების ინსტრუმენტები;
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო ყველა კლასისთვის დაწყ. კლ.
- მასწავლებელთა ინტერვიუ;
- განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები;
- შეფასების რუბრიკები;
 - დამრიგებლის წლიური სამუშაო გეგმა
 - დაწყებითის კათედრის სხდომის ოქმი
 - მშობელთა კრების ოქმი

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი მტიცებულებები, ექსპერტებს აძლევს შესაძლებლობას, რომ დაასკვნან: სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრების თანამშრომლობითა და პრობლემაზე ორიენტირებით, გაზიარებული პასუხისმგებლობითა და რეფლექსიით მიმდინარეობს სასკოლო ცხოვრების პროცესი, რომელიც ხელს უწყობს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას.

კერძოდ, სკოლას შემუშავებული აქვს დამრიგებლის სამუშაო გეგმა, ინკლუზიური განათლების პროგრამა, განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკა, კათედრის ოქმები. საგნობრივ პროგრამებში გაწერილია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები, ფრაგმენტულად წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის დავალებები.

ინდიკატორი 2.2.3.1 სტანდარს შეესაბამება

2. ექსპერტები შესწავლილი მტკიცებულებების საფუძველზე აღნიშნავენ, რომ სკოლას აქვს კომპლექსური ბუნების დავალებები, განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკა, რომლებიც მოსწავლის ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების ინდენტიფიცირებისა და მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისთვის შესაბამისი ინტერვენციების დასაგეგმად ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. სადამრიგებლო პროგრამით ჩატარებულია საკოლო პროექტები, რაც, ასევე, კარგი საშუალებაა მოსწავლეთა სხვადასხვა ინტერესები დასადგენად და დასაკმაყოფილებლად. პროცესი, რომ უფრო მეტად მოსწავლეზე ორიენტირებული გახდეს.

ინდიკატორი 2.2.3.2. სტანდარს შეესაბამება

3. სკოლის მტკიცებულებებში წარმოდგენილია სხვადასხვა კათედრებზე ურთიერთთანამშრომლობის ამსახველი სხდომის ოქმი, საიდანაც ჩანს, რომ მასწავლებლებმა აანალიზებენ მუშაობის პროცესში გამოვლენილ ხარვეზებს, მსჯელობენ მათ გამოსწორებაზე. კათედრების სხდომებზე მუდმივად განხილვა შეფასების სისტემის (განმავითარებელი შეფასების რუბრიკების) გამჭვირვალობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის საკითხი; რომ ამ დისკუსიას შედეგად მოსდევს შეფასების ინსტრუმენტების განვითარება. სკოლა იყენებს მშობლებთან კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებს: კრებები, თიმისის პლატფორმა, სოც ქსელი, ელ. ჟურნალი, ინდ შეხვედრები, ელ. ფოსტა და ტელეფონი, კლასების დახურული ფეისბუქ ჯგუფი, რაც უზრუნველყოფს თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებას სასკოლო საზოგადოებაში.

ინდიკატორი 2.2.3.3. სტანდარს შეესაბამება

4. სკოლის ადმინისტრაცია, თანამშრომლები, პედაგოგები სკოლაში ქმნიან უსაფრთხო და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ გარემოს. ბავშვების ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება სასკოლო თემატური ღონისძიებები - ლაშქრობები, ექსკურსიები, ხორციელდება სხვადასხვა პროექტი. ყურადღება ექცევა პედაგოგთა და მოსწავლეთა

საინტერესო აქტივობების წახალისებას. სკოლა გეგმავს და ახორციელებს საინტერესო სასკოლო პროექტებს. მაგ: „ჯანსაღი ცხოვრების წესი“, „ჩვენ ტოლერანტები ვართ“, „გვითხულობთ დედაზე“, კლასის დონეზე ხდება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება. საკლასო სივრცის ორგანიზება (მერხების გადაწყობა) ხდება მოსწავლეთა ინტერესების, საჭიროებებისა და განსახილველი საკითხების გათვალისწინებით. აქვთ მოსწავლეთა წახალისების პრაქტიკა სიგელებით, ზეპირი კომენტარით.

ინდიკატორი 2.2.3.4 სტანდარს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათადრის ოქმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შემაჯამებელი ოქმი მუსიკაში
- შემაჯამებელი ოქმი ხელოვნებაში
- მასწავლებელთა ინტერვიუ;
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
 - სასკოლო სასწავლო გეგმა
 - დამრიგებლის წლიური სამუშაო გეგმა
 - დაწყებითის კათედრის სხდომის ოქმი
 - მშობელთა კრების ოქმი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.



შეესაბამება

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც შესწავლილი სასკოლო დოკუმენტებით ექსპერტები არკვევენ, სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. სადაც დეკლარირებულია როგორ ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტის მიხედვით სკოლა კურიკულუმის რეალიზაციის პროცესში გეგმავს შეამოწმოს რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. წარმოდგენილი დოკუმენტი დამუშავებისა და კონკრეტული დატვირთვის შემთხვევაში სკოლას მისცემს საფუძველს შეადაროს რეალურად მიმდინარე საქმიანობა დაგეგმილი პროცესებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევა-სასურველია აღნიშნული პუნქტი ცალკე უფრო მკაფიოდ გამოიყოს მეთოდოლოგიის დოკუმენტში და უფრო მეტად დაკონკრეტდეს მონიტორინგისა და შეფასების პრინციპები, მიმართულებები, ფორმატი, ვადები და ინსტრუმენტები

ინდიკატორი 2.3.1.1 სტანდარს შეესაბამება

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, მასწავლებელთა რეფლექსიები და თვითრეფლექსიები მოწმობს, რომ სკოლას გააზრებული აქვს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარების მნიშვნელობა სასკოლო



კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში. სკოლის მიერ ატვირთულ დოკუმენტაციაში, ჩანს, რომ ისინი მუდმივად ზრუნავენ საკუთარი პრაქტიკის ურთიერთგაზიარებაზე, პრობლემური საკითხების გამოვლენასა და მისი დაძლევის გზებზე. სასკოლო საზოგადოების წევრთა მხარდაჭერასა და დახმარებას ემსახურება კომპლექსური ბარათების მშობლებისათვის გაზიარების პრაქტიკა, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა ინფორმირებას და თანაბარუფლებიან მონაწილეობას ყველა დონეზე მიმდინარე სასწავლო პროცესზე მონიტორინგისა და დაკვირვების მიზნით. აგრეთვე კათედრები სამუშაო შეხვედრებზე ანალიზებენ სასწავლო პროცესის გამოწვევებს, კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებს, მსჯელობს მოსწავლეთა ნამუშევრების პრობლემურ მხარეებზე და ამ პროცესზე დაყრდნობით ცდილობს გააუმჯობესოს სასწავლო პროცესის ხარისხი. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს განავითაროს მონიტორინგისა და შეფასების სისტემა შეძენილ გამოცდილებაზე დაფუძნებით.

ინდიკატორი 2.3.1.2 სტანდარს შეესაბამება

3. სკოლას შემუშავებული აქვს პრიორიტეტული და სტრატეგიული ხედვა, რომელიც ასახულია ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. შეფასება და მონიტორინგი პედაგოგთა მხრიდან მოიაზრება, როგორც სასწავლო პროცესში ისე კურიკულუმის დაგეგმვისას წამოჭრილი პრობლემების აღმოჩენისა და მოგვარების ინსტრუმენტად. ახალი სასწავლო წლიდან მასწავლებლების პედაგოგიკური საჭიროებების დადგენა დაიგეგმება თემატური მატრიცისა და პედაგოგიკური პრაქტიკის რეფლექსიის დოკუმენტზე დაფუძნებით.

ინდიკატორი 2.3.1.3 სტანდარს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის მეთოდოლოგია FE
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023;
- კათედრის ოქმები;
- მასწავლებელთა ინტერვიუ.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტიურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტები კათედრებთან გასაუბრების საფუძველზე გასაუბრებისას გამოიკვეთენ, რომ სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასების ვალიდურობისთვის ინფორმაციის მოპოვებისას სკოლა ეყრდნობა სხვადასხვა მონაცემებს. მაგ. შეფასების რუბრიკებს, თემატურ მატრიცებს, სასკოლო მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მოწოდებულ ინფორმაციას. ასევე სხვადასხვა დოკუმენტურ, სტატისტიკური ტიპის რესურსებს. სკოლის სურვილია ახალი სასწავლო წლისათვის კიდევ უფრო დახვეწოს და გამრავალფეროვნოს შეფასების წყაროები, გამოიყენოს ასევე მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები.

ინდიკატორი 2.3.2.1 სტანდარტს შეესაბამება

2. ექსპერტები ადასტურებენ, რომ სკოლას აქვს მოსწავლეზე დაკვირვების ფორმა, კათედრის სხდომები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, დამრიგებლის საათი და პროექტები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც შესაძლებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. მასწავლებლები სისტემატურად აკვირდებიან მოსწავლეებს, აკეთებენ ჩანიშვნებს, უკავშირდებიან დამრიგებლებს, მოსწავლეთა მშობლებს და ცდილობენ მათი ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებას სწავლებაში. ექსპერტებთან ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ იმის შესახებ, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალგვარ კონტექსტს, როგორებიცაა: შესასწავლი თემა და საკითხი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, საფეხურის ფარგლებში ცნებების დაფარვის დონე და მათი დასკვნის ვალიდაციას სწორედ მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს.

ინდიკატორი 2.3.2.2. სტანდარტს შეესაბამება

3. შესწავლილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მასწავლებლები საჭირო დროს მიმართავენ დიაგნოსტიკურ შეფასებას. განაზოგადებენ დიაგნოსტიკური კვლევის პროცესში მიღებულ შედეგებს. ასევე, მასწავლებლები პრაქტიკაში იყენებენ ინტერვიუს, ტესტირებას, ანკეტირებას და სხვ. იცნობენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, სხვადასხვა

დროს მიმართავენ დისკუსიებს, პროექტულ სწავლებას, რაც საშუალებას აძლევს მათ შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა მეთოდით მოიპოვონ.

ინდიკატორი 2.3.2.3 სტანდარტს შეესაბამება

4. სკოლას აქვს მოსწავლეზე დაკვირვების ფორმა, დამრიგებლის პროექტები/აქტივობები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ტარდება მშობელთა კრებები, კათედრის სხდომები, სადაც განიხილება მოსწავლეთა აკადემიური და ფუნქციური უნარები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც შესაძლებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, თუმცა მასში მკაფიოდ არაა გაწერილი, რამდენად ურთიერთდაკავშირებულად/სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება.

საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევა:სასურველია მეთოდოლოგიაშიც ჩანდეს რა მექანიზმით მოხდება შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინება

ინდიკატორი 2.3.2.4. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023;
- კათედრის ოქმები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები.
- მასწავლებელთა რეფლექსიები.
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.



- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია ინფორმაცია მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავებზე კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით. სკოლის დოკუმენტაციის გადასინჯვისა და მასწავლებელთა ინტერვიუებით დასტურდება, რომ კურიკულუმების შემუშავება ხდება წინა წლის პარაქტიკის გათვალისწინებითა და გაკეთებული დასკვნების საფუძველზე. მათ აქვთ გამოცდილება, გადახედონ საფეხურის ფარგლებში მიღწეულ შედეგებს და სასწავლო პროცესი დაგეგმონ გამოვლენილი პრობლემებისა და საჭიროებების საფუძველზე. ამას მოწმობს მასწავლებელთა სკოლის ფარგლებში არსებული პრაქტიკის ურთიერთგაზიარება. ახალი კურიკულუმის შემუშავებამდე სკოლა გეგმავს უზრუნველყოს მთელი სასკოლო საზოგადოების ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებაში, მშობლების, დირექციისა თუ მოსწავლეთა შეხედულებების გათვალისწინება ახალი კურიკულუმის შემუშავებაში.

ინდიკატორი 2.4.1.1 სტანდარტს შეესაბამება



2. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც დეკლარირებულია, რომ “ სკოლა ვალდებულია ყოველწლიურად განაახლოს დოკუმენტი წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე“ . ინტერვიუებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები დაშენდება წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის შედეგებზე. სკოლას აქვს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ანალიზის გარკვეული გამოცდილება(მაგ. შემაჯამებლების ანალიზები),

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის რჩევით: სასურველია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს კონკრეტული პროცედურები მიზნების, ინსტრუმენტების, პასუხისმგებელი პირების, ვადების მითითებით, რომლის მიხედვითაც სკოლა განახორციელებს დანერგვის მონიტორინგსა და შეფასებას.

ინდიკატორი 2.4.1.2 სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები,
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- მასწავლებელთა ინტერვიუ.
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება



2. სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	☒ V შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ V შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ V შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ V შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ V შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;



- 2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
- 3.კურიკულუმში შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
- 4.კურიკულუმში გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესების დაგეგმვისას გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. დოკუმენტი ქმნის თანამედროვე საგანმანათლებლო პარადიგმის რეალიზების შესაძლებლობებს. ასევე, ჩანს მიმართებები სასწავლო პროცესის სხვადასხვა ელემენტებს შორის, გამოკვეთილია ფუნქციები და პასუხისმგებელი პირები კურიკულუმის განვითარების პროცესში.

საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევით: სასურველია, სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების შესაწავლისა და კურიკულუმში ასახვის მიზნით, მეთოდოლოგიაში უფრო მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, მთელი წლის განმავლობაში, რა ფორმით, როგორი ინტენსივობით, რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით მოხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა, და გათვალისწინება. ასევე, მნიშვნელოვანია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ფრაგმენტულად არსებული ზოგადი ჩანაწერები დაზუსტდეს სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.1.1.1 სტანდარტს შეესაბამება

2. საგნობრივი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სკოლის მიერ დამტკიცებული დოკუმენტი- „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“ დეტალურად აღწერს სასკოლო პრიორიტეტების გამოკვეთისა და რეალიზების მექანიზმებს. სასკოლო სასწავლო გეგმაში კი გაწერილია, სასკოლო კურიკულუმის/წლიური პროგრამის აგების პრინციპები და ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაანალიზებისა და კათედრების მასწავლებლებთან ინტერვიუს განხორციელების დროს გამოიკვეთა: მასწავლებლის -როლი განსაკუთრებით წამყვანია კურიკულუმის დაგეგმვასა და განვითარებაში. სკოლას წარმოდგენილი აქვს დამრიგებლის წლიური პროგრამა, დაწყებითების კათედრის სხდომის ოქმი, მშობელთა კრების, ოქმი, რომელთა საფუძველზეც იკვეთება სასკოლო საზოგადოების წევრების კომუნიკაცია სკოლასთან და მათი ინტერესების გათვალისწინება. თუმცა, ინტერვიუს დროს, სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავებისას მოსწავლეების და მშობლების უფრო აქტიური ჩართულობისთვის გეგმავდნენ გამოკითხვას, ინტერვიუს, ფოკუს ჯგუფების ჩატარებას. რაც მთავარია სკოლას უკვე აქვს შემუშავებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობაზე,

ინდიკატორი 2.1.1.2. სტანდარტს შეესაბამება

3. საგნობრივი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კერძოდ განსაზღვრულია მასწავლებლების, კათედრებისა და დირექციის ფუნქციები და პასუხისმგებლობები, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოსაყენებელი საკომუნიკაციო არხები. საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივ კურიკულუმს შეიმუშავებს მასწავლებელი და განსახილველად წარადგენს კათედრაზე. სკოლას აქვს წარმოდგენილი კათედრის ოქმი, რომელშიც ჩანს კათედრის წევრების ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებაში. კოლეგებთან შეთანხმებით შემუშავდება კურიკულუმის საბოლოო ვერსია, რაც დამტკიცდება მომდევნო სასწავლო წლის დასაწყისში. მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწერილია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უნდა უძღოდეს წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზი და ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრების შეხედულებების კვლევა, რომელიც სასწავლო წლის განმავლობაში ციკლურად მიმდინარეობს.

ინდიკატორი 2.1.1.3 სტანდარტს შეესაბამება

4. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სკოლის მიერ დოკუმენტი „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს სასკოლო კურიკულუმის სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარების აუცილებლობას. ამასვე ადასტურებს პედაგოგთა გასაუბრება, კერძოდ: გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს და აღწერეს სკოლის პრაქტიკა, რაც გულისხმობს სასწავლო წლის დასაწყისში, კლასის დამრიგებლები მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ეთიკის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამის საკითხებს და სხვ. სხვადასხვა კათედრის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ 2023-2024 სასწავლო წელს შეინარჩუნებენ არსებულ პრაქტიკას და გეგმავენ კურიკულუმის პირველადი ვერსია გაუზიარონ სასკოლო საზოგადოების წევრებს: მოსწავლეებს სადამრიგებლო საათზე, მასწავლებლებს - კათედრაზე და მშობლებს - მშობელთა კრებაზე, მიღებული უკუკავშირი და მათი შეხედულებები გაითვალისწინონ კურიკულუმის საბოლოო ვერსიის დამტკიცებამდე.

საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევა: სასურველია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში უფრო მკაფიოდ გაიწეროს გაზიარების სხვადასხვა ფორმა და ინსტრუმენტები, რომლებიც უკეთ წარმოაჩენდა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები საკუთარ საქმიანობას უკავშირებენ კურიკულუმსა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილ მასალას და აქვთ მიკუთვნებულობის განცდა.

ინდიკატორი 2.1.1.4 სტანდარტს შეესაბამება



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები
- მშობელთა კრების ოქმი
- მშობლების ბარათი - მუსიკა მე-7 კლასი
- მშობლების ბარათი - ხელოვნება მე-9 კლასი
- უცხო ენის კათედრის ოქმი N 6 (5 ივლისი 2023 წელი)
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- მასწავლებელთა ინტერვიუ

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

- 1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
- 3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
- 4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებს;
- 5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.



ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგნობრივი ექსპერტების მოკვლევით, სკოლას შემუშავებული აქვს საგნობრივი კურიკულუმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების შესაძლებლობას. ინტერვიურებისას გამოჩნდა, რომ პედაგოგები შეძლებისდაგვარად ცდილობენ ორიენტირებას გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე, საფეხურის შედეგებზე და ცდილობენ მოსწავლეთა ნამუშევრების, როგორც შუალედური მიზნების ანალიზი გამოიყენონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო მიზნების რეალიზებისათვის. გარდა ამისა სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები, რაც ჩაშენებულია სსგ-ში, ასევე გაწერილია ინდ. სასწავლო გეგმები: მე-9 კლასში ქიმიაში ჩაშენებულია კომპლექსური დავალება “მჟავა წვიმები, მე-8 კლასში ბიოლოგიაში კომპლექსური დავალება “ოსტეოპოროზი”.

საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევით: სასურველი და მნიშვნელოვანია კურიკულუმებში თითოეულ თემის დონეზე ყველა სამიზნე ცნებაზე ორიენტირება, კონტექსტ-მაგალითებისა და კომპლექსური დავალების იდეების გაწერა შესაბამისი რესურსების მითითებით.

ინდიკატორი 2.1.2.1 სტანდარტს შეესაბამება

2. საბაზო საფეხურზე, კურიკულუმები იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტების შემოტანას ხელს უწყობს სკოლის მიერ საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები. რამდენიმე კომპლექსური დავალების პირობა და მასწავლებელთა მხრიდან ამ დავალების შესასრულებლად აღწერილი აქტივობები შესაძლებლობას იძლევა ხელი შეეწყოს მოსწავლეთა ფუნქციურ-კომპეტენტური უნარების განვითარებას. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები პედაგოგთა მხრიდან განიხილება გრძელვადიან სასწავლო მიზნებად, რომლებიც უნდა დაუკავშირდეს საფეხურის სასწავლო შედეგებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევა: სასურველი და მნიშვნელოვანია კურიკულუმებში თითოეულ თემის დონეზე ყველა სამიზნე ცნებაზე ორიენტირება, კონტექსტ-მაგალითებისა და კომპლექსური დავალების იდეების გაწერა შესაბამისი რესურსების მითითებით უფრო სრულყოფილი სახით.

ინდიკატორი 2.1.2.2. სტანდარტს შეესაბამება

3. ექსპერტთა მირ შესწავლილი მტკიცებულებებისა და ინტერვიურების შედეგად დგინდება, რომ კათედრები შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის ინსტრუმენტად იყენებენ კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც საშუალებას აძლევს

მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ, ცალკეული მოსწავლეებისთვის კი ამ დავალების ადაპტირებული ვერსია მოამზადოს. სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ სხვადასხვა შინაარსის და სირთულის დავალებებს, გამოყენებული დავალებების პირობები, მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საბოლოო პროდუქტი იყოს მრავალფეროვანი მათი სურვილის შესაბამისად.

საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევით: სასურველი და მნიშვნელოვანია კომპლექსური დავალებების პირობის ადაპტირება (როგორც სსსმ, ისე ტიპური განვითარების მოსწავლეებისთვის, რომლებიც დაბალი მზაობით გამოირჩევიან) დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.1.2.3. სტანდარტს შეესაბამება

4. ექსპერტები მტკიცებულებების საფუძველზე მიიჩნევენ, რომ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად სკოლა იყენებს შეფასების განმსაზღვრელ და განმავითარებელ სისტემას, რომელიც შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების ზოგადი პრინციპები გაწერილია სსგ-ში. კურიკულუმს თან ერთვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რამოდენიმე რუბრიკა, რომელიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კათედრებზე ახორციელებენ მოსწავლეთა შედეგების განხილვას, შემაჯამებელი სამუშაოების ანლიზს. კათედრების წევრ პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ მასწავლებლებს აქვთ მიზნობრივი ხედვა, შეფასებისას ორიენტირებულნი იყვნენ გრძელვადიან მიზნებზე, შუალედური მიზნების საშუალებით. გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის მეთოდოლოგია. შეფასების მეტ წილს უთმობენ განმავითარებელ შეფასებას. ხშირად იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. იყენებენ შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სექტემბრისთვის გეგმავენ შეფასების რუბრიკების მომზადებას იმ კომპლექსური დავალებების საფუძველზე, რომელთა განხორციელებასაც აპირებენ. თუმცა მათ აქვთ კომპლექსური დავალების სოლო ტაქსონომიით შეფასების გამოცდილება, ამას ადასტურებს მათ მიერ წარმოდგენილი დავალებები შესაბამისი რუბრიკებით.

საზოგადოებრივი ექსპერტი გასცემს რჩევას: სასურველი და მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასების რუბრიკების თითოეული კომპლექსური დავალებისთვის შექმნა დასამუშავებელი სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან კავშირით. თითოეული სავალდებულო თემისთვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების მომზადება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორების საფუძველზე.

ინდიკატორი 2.1.2.4 სტანდარტს შეესაბამება

5. ექსპერტები შეწავლილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე აღნიშნავენ, რომ კათედრებზე კურიკულუმების შედგენისას გაითვალისწინეს მიმდინარე სასწავლო წლის წარმატებული გამოცდილება და გამოვლენილი სირთულეები,

რომელთა შესახებაც ინფორმაციას აზიარებენ კათედრის სხდომებსა თუ პირად საუბრებში.. სასკოლო გეგმაშიც ხაზგასმულია, რომ სკოლისთვის ჩვეული ტრადიციაა, არსებული კურიკულუმების ანალიზზე დაფუძნებით ახლის შედგენა-დაგეგმვა. დასახელდა ის კომპლექსური დავალებები რომელთა შესრულების დროსაც მოსწავლეებმა განსაკუთრებული ინტერესი და მოტივაცია გამოავლინეს და სწორედ ამ ნიშნით შეირჩა ისინი მომდევნო სასწავლო წლისთვისაც. სკოლაში უკვე დაწყებულია 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვის პროცესი, უცხოური ენების კათედრის N 6 ოქმში აღწერილია, რომ პედაგოგებმა უნდა გაითვალისწინონ 2022-2023 სასწავლო წლის გამოცდილება.

ინდიკატორი 2.1.2.5. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უცხო ენების კათედრის სხდომის ოქმი N 6
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები
- მასწავლებელთა ინტერვიუ;
 - სადამრიგებლო საათის თემატიკა
 - სამოქალაქო განათლების კლუბის წესდება და პროექტების ამსახველი მასალა
 - მშობელთა კრების ოქმი
 - საგნობრივი კურიკულუმები
 - მე-8 კლასის კომპლექსური და სოლო ტაქსონომია
 - ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა - დანართი 23
 - სამოდულო ინტეგრირებული გაკვეთილი



- ესგ-ის პრიორიტეტულ თემებზე: ჯანსაღი ცხოვრება, გარემოს დაცვა და ფინანსური წიგნიერება განხორციელებული სამი სხვადასხვა პროექტი;
- პროექტები: “უსაფრთხო სკოლის” კულტურის კონცეფცია და „წიგნიერების დონის ამაღლება IX კლასის მოსწავლეებში“;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

- 1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
- 2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
- 3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
- 4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
- 5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ექსპერტები ასკვნია: საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს ორიენტაცია გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე. კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობები, კომპლექსური დავალებები აძლევს საშუალებას მასწავლებლებს დაგეგმოს მოსწავლეზე ორიენტირებული შემოქმედებითი სასწავლო პროცესი. სასკოლო აქტივობები (კლუბები, პროექტები) აგრეთვე ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მისი კონტექსტ-მაგალითები, მრავალფეროვანი რესურსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. გასაუბრებისას პედაგოგებმა გამოკვეთეს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის გზები(სასწავლო პროექტები, მრავალფეროვანი დავალებები, თანამშრომლობითი სწავლება...)სკოლაში ფუნქციონირებს ეკო კლუბი, ეკო კომიტეტი, სკოლის სოციალურ გვერდზე განთავსებულია მასალები, რაც ცხადყოფს მოსწავლეთა ჩართულობას კონკურსებში, სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები,რაც ჩაშენებულია სსგ-ში. ასევე ინტერვიუს დროს წარადგინეს სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. გამოიკვეთა მოსწავლეთა მიმართ მაღალი მოლოდინები და პოზიტიური მხარდაჭერა,რაც განაპირობებს მათი მოტივაციის გაზრდას.

საზოგადოებრივი მენიერებების ექსპერტის რჩევით: სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება-ანგარიშგება.

ინდიკატორი 2.2.1.1 სტანდარტს შეესაბამება

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული თემები წარმოდგენილია მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტით, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში და გააზრებაში. კურიკულუმში წარმოდგენილი თემები, საკითხები, კონტექსტმაგალითები ლოგიკურ ურთიერთმიმართებაშია და ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ჩართულობას. პედაგოგებთან საუბრისას ექსპერტები არკვევენ, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, სწავლას აღმოჩენის გზით, რაც მეტყველებს იმაზე, რომ სწავლება მიმდინარეობს კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე დაყრდნობით. სწავლება ემყარება განვითარების პრინციპს - ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ.აგრეთვე მასწავლებლებმა ისაუბრეს განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა ფიზიკაში “სხეულის სიმძიმის ცენტრის განსაზღვრა” და პროექტი „ 22 აპრილი დედამიწის დღე “, სწორად გააკეთეს აქცენტი, თუ რა საკითხების გახსენებით და რა მეთოდით განხორციელებდნენ წინარე ცოდნის გააქტიურებას.

ინდიკატორი 2.2.1.2. სტანდარტს შეესაბამება

3. ექსპერტთა დასკვნით, რომელიც წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და მასწავლებელთა ინტერვიუს ეფუძნება, მასწავლებლები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ მეტაკოგნიციას. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არა მხოლოდ შედეგზე, არამედ პროცესზე. მოსწავლე თვითონ ირჩევს სტრატეგიებს, გარდა ამისა, მასწავლებლები ხშირად სთავაზობენ მოსწავლეებს დავალებებს რომელიც მოითხოვს მათ მიერ დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება-დამუშავებას, შესრულებული დავალების პრეზენტაციას, ანალიზს-რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს... სკოლა იყენებს მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების მეთოდებს. მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა მეტაკოგნიციის განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.1.3. სტანდარტს შეესაბამება

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში/ჩარჩოებში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება. ამის დასტურია კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლის შესრულებაც მოითხოვს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, მოქმედების წესებსა და სტრატეგიებს, და ცოდნის მოქმედებაში გადატანას, გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. მასწავლებლებმა საგნობრივ ექსპერტებთან ინტერვიუების პროცესში მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებზე ისაუბრეს და მტკიცებულებად ნამუშევრებიც წარმოადგინეს. განხორციელებული სასწავლო პროექტები: “22 აპრილი დედამიწის დღე”, “ივანე ბერიტასვილი ღირსეული მოქალაქე და საზოგადო მოღვაწე” (რომლებიც განთავსებულია სკოლის გვერდზე), ცხადყოფს, რომ მოსწავლეს უწევს, როგორც ინფორმაციის მოძიება, ასევე მისი დამუშავება, ანალიზი და გამოყენება კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში.

ინდიკატორი 2.2.1.4 სტანდარტს შეესაბამება

5. საგნობრივი კურიკულუმების თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც წარმოდგენილი აქვს სკოლას ექსპერტებს საშუალებას აძლევს დაასკვნან, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა კათედრებს შორის თანამშრომლობა, ინტეგრირებული გაკვეთილების, კომპლექსური და STEAM - ინტერდისციპლინარული დავალებების ერთობლივად დაგეგმვა-განხორციელება.

ინდიკატორი 2.2.1.5 სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



- მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმები
- თემატური მატრიცები
- შეფასების ინსტრუმენტები მათემატიკაში
- VII-IX კლასების სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმები
- VII-IX კლასების მუსიკის კურიკულუმები
- საბაზო საფეხურის ინგლ და რუსული ენების კურიკულუმები
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სადამრიგებლო საათის თემატიკა
- სამოქალაქო განათლების კლუბის წესდება და პროექტების ამსახველი მასალა
- მშობელთა კრების ოქმი
- საგნობრივი კურიკულუმები
- მე-8 კლასის კომპლექსური და სოლო ტაქსონომია
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა
- სამოდელო ინტეგრირებული გაკვეთილი
- ესგ-ის პრიორიტეტულ თემებზე: ჯანსაღი ცხოვრება, გარემოს დაცვა და ფინანსური წიგნიერება განხორციელებული სამი სხვადასხვა პროექტი;
- პროექტები: “უსაფრთხო სკოლის” კულტურის კონცეფცია და „წიგნიერების დონის ამაღლება IX კლასის მოსწავლეებში“;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;



4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პედაგოგებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით საგნობრივი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ წარმოდგენილ კურიკულუმის ნიმუშებში მკაფიოდ არის გამოკვეთილი სამიზნე ცნებები და მათზე დაყრდნობით გამოკვეთილია ქვეცნებათა იერარქია. სასწავლო პროცესი იმგვარადაა დაგეგმილი, რომ ხელი ეწყობა სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებების გათავისებას სხვადასხვა კონტექსტში. კომპლექსური დავალების პირობაში ცნების მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზე კი შეფასების კრიტერიუმები (ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ). ეს დასტურდება კურიკულუმში ასახული კომპლექსური დავალებითა და მარავალფეროვანი სასწავლო რესურსებით. მე-7, მე-8, მე-9 კლასების საგნობრივ კურიკულუმებში გამოკვეთილია რამდენიმე სავალდებულო თემის ფარგლებში განსაზღვრულ ძირითად საკითხებთან მიმართებით ყველა სამიზნე ცნების გააქტიურება და კომპლექსური დავალებებით დამუშავება.

ინდიკატორი 2.2.2.1 სტანდარტს შეესაბამება

2. ექსპერტები სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ცხადყოფენ, რომ სკოლაში მასწავლებელთა მხრიდან საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს, რასაც ისინი ადგენენ დაკვირვებით, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების ანალიზებით, გამოკითხვებით. დავალებების შედგენისას ყურადღება მახვილდება ისეთ კითხვებზე რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს ამოიცნონ და მართონ საკუთარი ემოციები, ძლიერი და სუსტი მხარეები; სოციალური ცნობიერებისა და ურთიერთობის უნარების განვითარების მიზნით აქტიურად იყენებენ თანამშრომლობით სწავლებას, მუშაობენ პროექტებზე, ხშირად გეგმავენ ჯგუფურ სამუშაოებს, რაც ასევე ზრდის გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის კომპეტენციას. საბაზო საფეხურის მასწავლებლების მიერ განხილული ქეისით (შესრულებული კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესის აღწერა), მოგვეცა საშუალება აღვნიშნოთ, რომ სკოლა ქმნის მოსწავლეებისთვის პირობებს, რათა მათ შეეძლონ საკუთარი და სხვათა გრძნობების გაგება და სათანადოდ რეაგირება, თვითმართვა, თვითშეფასება, ადაპტირება იმ გარემოსთან სადაც უწევს მოქმედება.

ინდიკატორი 2.2.2.2 სტანდარტს შეესაბამება

3.ექსპერტები ასკვნიან, რომ სკოლაში შეფასების სისტემა ორიენტირებულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასა და განვითარების ხელშეწყობაზე, სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია სხვადასხვა განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რაც სკოლის პრაქტიკაში გამოიყენება. აგრეთვე დანართებში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რამდენიმე ნიმუში. ხდება ჰოლისტური მიდგომის მხარდაჭერა. სკოლის მიერ წამოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს სასწავლო პროცესზე ორიენტირებულ კურიკულუმს და ჩანს, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. მათთვის ნაცნობია ეროვნული სასწავლო გეგმის მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმი- სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდოლოგიური ორიენტირების რეალიზებას საშუალებას. გამოიკვეთა ასევე, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტიკა განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით.

ინდიკატორი 2.2.2.3. სტანდარტს შეესაბამება

4.შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები ჩართული არიან შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში, რაც ზრდის სანდოობას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით მშობლებთან კრებებზე წინასწარ აცნობებს მისაღწევ მიზნებს და იმ ზოგად კრიტერიუმებს რის მიხედვითაც ზეპირსიტყვიერად ფასდება მოსწავლის შედეგები. საბუნებისმეტყველო მიმართულების ექსპერტს მოჰყავს მაგალითი: წარმოდგენილ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში 10 ქულა განაწილებულია 3 კომპონენტზე, თუმცა ჩაშლილი არ არის ერთ ქულიანი ბიჯით, რაც სანდოობის მხრივ უიწვევს შეუსაბამობას. კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ რუბრიკები შემუშავების პროცესშია და გამოხატეს მზაობა, რომ სექტემბრისთვის კიდევ უფრო დახვეწონ. **რჩევა:** სასურველია ვალიდობისა და სანდოობის მიზნით სკოლას ჰქონდეს შემუშავებული შეფასების კონცეფცია: რა მიზნით, რა კონცეფციაზე დაყრდნობით შეიმუშავებს მასწავლებელი შეფასებას, რა მეთოდებს იყენებს, რა პრინციპით არჩევს შეფასების ინსტრუმენტს, რამდენად შეესაბამება შერჩეული ინსტრუმენტი მიზნებს, მოსწავლის საჭიროებებს, სწავლა-სწავლების რესურსებსა და დროს. სასურველია კრიტერიუმების შემუშავების პროცესში ჩავრთოთ მოსწავლეები და მშობლები.

ინდიკატორი 2.2.2.4. სტანდარტს შეესაბამება

5. როგორც ექსპერტები შესწავლილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ასკვნიან, სკოლას არ აქვს წარმოდგენილი, თუ როგორ გეგმავს შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციას, პროცესის ვერიფიკაციას და შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაციას; სკოლას ესაჭიროება შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება.

ხარვეზი- წარმოდგენილი დოკუმენტაციით სკოლას არ აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი. სკოლამუნდა შეიმუშაოს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც უზრუნველყოფს სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემის დახვეწა-განვითარებას. სკოლამ შესაბამისობის გეგმის ფარგლებში წარმოადგინა ვერიფიკაციის დოკუმენტი

ინდიკატორი 2.2.2.5 სტანდარტს შეესაბამება

6. წარმოდგენილი დოკუმენტაციით ექსპერტები ადგენენ, რომ სკოლა მოსწავლეთა შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს აფიქსირებს მოსწავლეთა პირად საქმეში, ელექტრონულ ჟურნალში, დამრიგებლის ანგარიშში, რაც შეესაბამება კანონმდებლობას. აგრეთვე მოსწავლეთა ნამუშევრებს ინახავენ კათედრზე.

ინდიკატორი 2.2.2.6 სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები
- სადამრიგებლო საათის თემატიკა
- სამოქალაქო განათლების კლუბის წესდება და პროექტების ამსახველი მასალა
- მშობელთა კრების ოქმი
- საგნობრივი კურიკულუმები
- მე-8 კლასის კომპლექსური და სოლო ტაქსონომია
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა
- სამოდელო ინტეგრირებული გაკვეთილი
- ესგ-ის პრიორიტეტულ თემებზე: ჯანსაღი ცხოვრება, გარემოს დაცვა და ფინანსური წიგნიერება განხორციელებული სამი სხვადასხვა პროექტი;

- პროექტები: “უსაფრთხო სკოლის” კულტურის კონცეფცია და „წიგნიერების დონის ამაღლება IX კლასის მოსწავლეებში“;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმდებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი მტიცებულებები, ექსპერტებს აძლევს შესაძლებლობას, რომ დაასკვნან: სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრების თანამშრომლობითა და პრობლემაზე ორიენტირებით, გაზიარებული პასუხისმგებლობითა და რეფლექსიით მიმდინარეობს სასკოლო ცხოვრების პროცესი, რომელიც ხელს უწყობს მხარდამჭერი და მიმდებლობითი გარემოს შექმნას. კერძოდ, სკოლას შემუშავებული აქვს დამრიგებლის სამუშაო გეგმა, ინკლუზიური განათლების პროგრამა, განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკა, კათედრის ოქმები. საგნობრივ პროგრამებში გაწერილია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები, ფრაგმენტულად წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის დავალებები. უცხო ენების კათედრის N 2 (27.10.23) სხდომის ოქმშია აღწერილი „მნიშვნელოვანია მოხდეს მოსწავლეების მომზადება ეროვნული ოლიმპიადებისთვის, მიეცეს მათ შესაბამისი რეკომენდაციები, თუ რა საკითხებზე უნდა გაამახვილონ ყურადღება ოლიმპიადისთვის მომზადების დროს. საჭიროების შემთხვევაში აუცილებელია მოსწავლეების უზრუნველყოფა მოხდეს შესაბამისი სასწავლო რესურსებით.“ ამავე ოქმში აღწერილია თუ როგორ უნდა მოხდეს მოსწავლეთა მომზადება ეროვნული ოლიმპიადისათვის. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. რასაც ადასტურებს სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეული პუნქტი, საგნობრივი კურიკულუმები. ყველა მასწავლებელი ზრუნავს თანამშრომლობის განვითარებაზე როგორც ერთმანეთთან ასევე მოსწავლეებთან, მშობლებთან, მოსწავლეთა შორის. ღიაობა და მიმდებლობა და წახალისება, როგორც მასწავლებლების, ასევე, მოსწავლეებისა და მშობლების იდეების მიმართ.

ინდიკატორი 2.2.3.1 სტანდარტს შეესაბამება

2. ექსპერტები შესწავლილი მტკიცებულებების საფუძველზე აღნიშნავენ, რომ სკოლას აქვს კომპლექსური ბუნების დავალებები, განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკა, რომლებიც მოსწავლის ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების ინდენტიფიცირებისა და მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისთვის შესაბამისი ინტერვენციების დასაგეგმად ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. სადამრიგებლო პროგრამით ჩატარებულია საკოლო პროექტები, რაც, ასევე, კარგი საშუალებაა მოსწავლეთა სხვადასხვა ინტერესები დასადგენად და დასაკმაყოფილებლად. განხორციელებულია სამოქალაქო კლუბის პროექტები და სადამრიგებლო პროგრამით ჩატარებულია საკოლო პროექტები, რაც, ასევე, კარგი საშუალებაა მოსწავლეთა სხვადასხვა ინტერესები დასადგენად და დასაკმაყოფილებლად.

ინდიკატორი 2.2.3.2. სტანდარტს შეესაბამება

3. სკოლის მტკიცებულებებში წარმოდგენილია სხვადასხვა კათედრებზე ურთიერთთანამშრომლობის ამსახველი სხდომის ოქმი, საიდანაც ჩანს, რომ მასწავლებლებმა აანალიზებენ მუშაობის პროცესში გამოვლენილ ხარვეზებს, მსჯელობენ მათ გამოსწორებაზე. კათედრების სხდომებზე მუდმივად განხილვა შეფასების სისტემის (განმავითარებელი შეფასების რუბრიკების) გამჭვირვალობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის საკითხი; რომ ამ დისკუსიას შედეგად მოსდევს შეფასების ინსტრუმენტების განვითარება. სკოლა იყენებს მშობლებთან კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებს: კრებები, თიმის პლატფორმა, სოც ქსელი, ელ. ჟურნალი, ინდ შეხვედრები, ელ. ფოსტა და ტელეფონი, კლასების დახურული ფეისბუქ ჯგუფი, რაც უზრუნველყოფს თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებას სასკოლო საზოგადოებაში. აგრეთვე სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მუშაობით, კათედრის ოქმით, დამრიგებლის წლიური სამუშაო გეგმით, მშობელთა კრების ოქმით სკოლაში გამოკვეთილია თანამშრომლობითი კულტურა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის,

ინდიკატორი 2.2.3.3 სტანდარტს შეესაბამება

4. სკოლის ადმინისტრაცია, თანამშრომლები, პედაგოგები სკოლაში ქმნიან უსაფრთხო და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ გარემოს. ბავშვების ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება სასკოლო თემატური ღონისძიებები - ლაშქრობები, ექსკურსიები, ხორციელდება სხვადასხვა პროექტი. ყურადღება ექცევა პედაგოგთა და მოსწავლეთა საინტერესო აქტივობების წახალისებას. თანამშრომლობითი კულტურის მაგალითია „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტის არსებობა, რის საშუალებითაც კათედრის წევრები ესწრებიან და აფასებენ კოლეგების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს და აკეთებენ შესაბამის უკუკავშირებს. საგნობრივი კურიკულუმების, დამრიგებლის წლიური გეგმის, სამოქალაქო კლუბის

ანგარიშის ანალიზით შესაძლებელია იმის თქმა, რომ განხორციელებული აქტივობები ხელს უწყობს პოზიტიური კლიმატის შექმნას სკოლისა და კლასის დონეზე,

ინდიკატორი 2.2.3.4 სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის ოქმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მასწავლებელთა ინტერვიუ;
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
 - სასკოლო სასწავლო გეგმა
 - უცხო ენების კათედრის ოქმი N 2
 - დამრიგებლის წლიური სამუშაო გეგმა
 - მშობელთა კრების ოქმი
 - კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
 - სადამრიგებლო საათის თემატიკა
 - სამოქალაქო განათლების კლუბის წესდება და პროექტების ამსახველი მასალა
 - მშობელთა კრების ოქმი
 - საგნობრივი კურიკულუმები
 - მე-8 კლასის კომპლექსური და სოლო ტაქსონომია
 - ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა
 - სამოდელი ინტეგრირებული გაკვეთილი



- ესგ-ის პრიორიტეტულ თემებზე: ჯანსაღი ცხოვრება, გარემოს დაცვა და ფინანსური წიგნიერება განხორციელებული სამი სხვადასხვა პროექტი;
- პროექტები: “უსაფრთხო სკოლის” კულტურის კონცეფცია და „წიგნიერების დონის ამაღლება IX კლასის მოსწავლეებში“;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

თ.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. როგორც შესწავლილი სასკოლო დოკუმენტებით ექსპერტები არკვევენ, სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. სადაც დეკლარირებულია როგორ ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტის მიხედვით სკოლა კურიკულუმის რეალიზაციის პროცესში გეგმავს შეამოწმოს რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. წარმოდგენილი დოკუმენტი დამუშავებისა და კონკრეტული დატვირთვის შემთხვევაში სკოლას მისცემს საფუძველს შეადაროს რეალურად მიმდინარე საქმიანობა დაგეგმილი პროცესებს. აგრეთვე სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი - სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი რომელშიც გაწერილია როგორც საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ხარისხის უზრუნველყოფის, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების დაგეგმვის მექანიზმები. დოკუმენტში ასახულია როგორ, რა საშუალებებით, ვის მიერ ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. როგორ ხდება მოპოვებული ინფორმაციის ასახვა ახალ სასწავლო გეგმაში მონიტორინგი მოიცავს როგორც გაკვეთილებზე დასწრებას და დაკვირვებას წინასწარ შემუშავებული რუბრიკით, ასევე მოსწავლეთა და მშობელებს გამოკითხვებს, კათედრის წევრების ურთიერთდასწრებას და უკუკავშირს. სკოლის დირექციისა და მასწავლებლების მიერ მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, /კათედრების/დამრიგებლების ანგარიშგებას და ამ ინფორმაციის გამოყენებას სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ექსპერტთა რჩევა-სასურველია აღნიშნული პუნქტი ცალკე უფრო მკაფიოდ გამოიყოს მეთოდოლოგიის დოკუმენტში და უფრო მეტად დაკონკრეტდეს მონიტორინგისა და შეფასების პრინციპები, მიმართულებები, ფორმატი, ვადები და ინსტრუმენტები

ინდიკატორი 2.3.1.1 სტანდარტს შეესაბამება

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, მასწავლებელთა რეფლექსიები და თვითრეფლექსიები მოწმობს, რომ სკოლას გააზრებული აქვს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარების მნიშვნელობა სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში. სკოლის მიერ ატვირთულ დოკუმენტაციაში, ჩანს, რომ ისინი მუდმივად ზრუნავენ საკუთარი პრაქტიკის ურთიერთგაზიარებაზე, პრობლემური საკითხების გამოვლენასა და მისი დაძლევის გზებზე. აგრეთვე კათედრები სამუშაო შეხვედრებზე ანალიზებენ სასწავლო პროცესის გამოწვევებს, კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებს, მსჯელობს მოსწავლეთა ნამუშევრების პრობლემურ მხარეებზე და ამ პროცესზე დაყრდნობით ცდილობენ გააუმჯობესონ სასწავლო პროცესის ხარისხი. კათედრებზე არსებული მონაცემების მიხედვით კეთდება ანალიზი და შეფასება. წარმოდგენილი კათედრის ოქმის მიხედვით, მათემატიკის მასწავლებლები საბაზო საფეხურზე

თანამშრომლობენ შეფასების ინსტრუმენტების სრულყოფისათვის. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს განავითაროს მონიტორინგისა და შეფასების სისტემა შეძენილ გამოცდილებაზე დაფუძნებით.

ინდიკატორი 2.3.1.2 სტანდარტს შეესაბამება

3. სკოლას შემუშავებული აქვს პრიორიტეტული და სტრატეგიული ხედვა, რომელიც ასახულია ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. შეფასება და მონიტორინგი პედაგოგთა მხრიდან მოიაზრება, როგორც სასწავლო პროცესში ისე კურიკულუმის დაგეგმვისას წამოჭრილი პრობლემების აღმოჩენისა და მოგვარების ინსტრუმენტად. ახალი სასწავლო წლიდან მასწავლებლების პედაგოგიკური საჭიროებების დადგენა დაიგეგმება თემატური მატრიცისა და პედაგოგიკური პრაქტიკის რეფლექსიის დოკუმენტზე დაფუძნებით.

ინდიკატორი 2.3.1.3 სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023;
- კათედრის ოქმები;
- მასწავლებელთა ინტერვიუ.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტები კათედრებთან გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთენ, რომ სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასების ვალიდურობისთვის ინფორმაციის მოპოვებისას სკოლა ეყრდნობა სხვადასხვა მონაცემებს. მაგ. შეფასების რუბრიკებს, თემატურ მატრიცებს, სასკოლო მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მოწოდებულ ინფორმაციას. ასევე სხვადასხვა დოკუმენტურ, სტატისტიკური ტიპის რესურსებს. სკოლა იყენებს როგორც გაკვეთილზე დასწრებას დირექციისა და ხარისხის ჯგუფის წევრებიდან, ასევე ურთიერთდასწრების პრაქტიკას, უკუკავშირს მოსწავლეებისგან, ინფორმაციის მიღებას მშობლებისგან, დამრიგებლისგან. აწარმოებენ განმსაზღვრელ (რომელიც მოიცავს მოსწავლეთა შეფასებას სამი კომპონენტით საშინაო დავალება, საკლასო აქტივობა, შემაჯამებელი სამუშაო) და განმავითარებელ შეფასებას, რომელთაც აწვდიან მშობლებს ელ.ჟურნალის მეშვეობით. სსგ-ში გაწერილია ჰოლიტური შეფასების რუბრიკები. სკოლის სურვილია ახალი სასწავლო წლისათვის კიდევ უფრო დახვეწოს და გაამრავალფეროვნოს შეფასების წყაროები, გამოიყენოს ასევე მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები.

ექსპერტთა რჩევა-სასურველია მეთოდოლოგიაში მკაფიოდ გაიწეროს მრავალფეროვანი წყაროები ჰოლისტურად შეფასების მიზნით.

ინდიკატორი 2.3.2.1. სტანდარტს შეესაბამება

2. ექსპერტები ადასტურებენ, რომ სკოლას აქვს მოსწავლეზე დაკვირვების ფორმა, კათედრის სხდომები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, დამრიგებლის საათი და პროექტები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც შესაძლებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. მასწავლებლები სისტემატურად აკვირდებიან მოსწავლეებს, აკეთებენ ჩანაშენებს, უკავშირდებიან დამრიგებლებს, მოსწავლეთა მშობლებს და ცდილობენ მათი ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებას სწავლებაში. ექსპერტებთან ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ იმის შესახებ, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალგვარ კონტექსტს, როგორებიცაა: შესასწავლი თემა და საკითხი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, საფეხურის ფარგლებში ცნებების დაფარვის დონე და მათი დასკვნის ვალიდაციას სწორედ მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს.

ინდიკატორი 2.3.2.2. სტანდარტს შეესაბამება

3. შესწავლილი დოკუმენტაციით და პედაგოგებთან გასაუბრებიდან ირკვევა, რომ მასწავლებლები გამოიყენებენ შეფასების სხვადასხვა მეთოდებს - დაკვირვების ჩანაწერებს, შედეგების ანალიზს, შეკითხვების დასმას, თვითშეფასებას, ჯგუფური მუშაობას და სხვ. 2023-2024 სასწავლო წლისთვის კათედრები დირექციასთან ერთად გეგმავენ მოსწავლის პორტფოლიოს, როგორც შეფასების მეთოდის გამოყენებას, სადაც რეგულარულადა აისახება მოსწავლის აკადემიური მიღწევები და მისი ფსიქო-ემოციური განვითარება.

ინდიკატორი 2.3.2.3. სტანდარტს შეესაბამება

4. სკოლას აქვს მოსწავლეზე დაკვირვების ფორმა, დამრიგებლის პროექტები/აქტივობები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ტარდება მშობელთა კრებები, კათედრის სხდომები, სადაც განიხილება მოსწავლეთა აკადემიური და ფუნქციური უნარები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც შესაძლებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, თუმცა მასში მკაფიოდ არაა გაწერილი, რამდენად ურთიერთდაკავშირებულად/სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება.

საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევა:სასურველია მეთოდოლოგიაშიც ჩანდეს რა მექანიზმით,მეთოდებით მოხდება შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინება

ინდიკატორი 2.3.2.4. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023;
- კათედრის ოქმები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები.
- მასწავლებელთა რეფლექსიები.
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება



2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია ინფორმაცია მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავებზე კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით. სკოლის დოკუმენტაციის გადასინჯვისა და მასწავლებელთა ინტერვიუებით დასტურდება, რომ კურიკულუმების შემუშავება დება წინა წლის პრაქტიკის გათვალისწინებითა და გაკეთებული დასკვნების საფუძველზე. მათ აქვთ გამოცდილება, გადახედონ საფეხურის ფარგლებში მიღწეულ შედეგებს და სასწავლო პროცესი დაგეგმონ გამოვლენილი პრობლემებისა და საჭიროებების საფუძველზე. ამას მოწმობს მასწავლებელთა სკოლის ფარგლებში არსებული პრაქტიკის ურთიერთგაზიარება. ახალი კურიკულუმის შემუშავებამდე სკოლა გეგმავს უზრუნველყოს მთელი სასკოლო საზოგადოების ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებაში, მშობლების, დირექციისა თუ მოსწავლეთა შეხედულებების გათვალისწინება ახალი კურიკულუმის შემუშავებაში. მაგაიტიშათვის მასწავლებლებმა წარადგინეს ძველი კურიკულუმის ვერსია და ახალი კურიკულუმი, რომელიც დანერგვის ეტაპზე გადასინჯული და მოდიფიცირებული იყო. ასევე აღინიშნეს, რომ მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სკოტ ანალიზის საფუძველზე მოხდება სამოქმედო გეგმის შემუშავება, სასწავლო წლის ბოლოს გაიცემა კონკრეტული რეკომენდაციები და ცვლილებები მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმისათვის.

ინდიკატორი 2.4.1.1. სტანდარტს შეესაბამება

2. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც დეკლარირებულია, რომ “ სკოლა ვალდებულია ყოველწლიურად განაახლოს დოკუმენტი წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე “. ინტერვიუებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები დაშენდება წინარე



გამოცდილებასა და მონიტორინგის შედეგებზე. სკოლას აქვს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ანალიზის გარკვეული გამოცდილება(მაგ. შემაჯამებლების ანალიზები),

საგნობრივი ექსპერტების რჩევით: -სკოლამ გაწეროს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი სადაც ასახული იქნება თუ როგორ, რა ფორმით/საშუალებებით მოხდება სასკოლო საზოგადოების (მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი, სკოლის ადმინისტრაცია, დირექცია) ინტერესების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა, როგორ განხორციელდება დანერგვის პროცესის მონიტორინგი, შეფასება, რეკომენდაციების შემუშავება შემდეგ წელიწადს კურიკულუმის დასახვეწად.

ინდიკატორი 2.4.1.2. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები,
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- მასწავლებელთა ინტერვიუ.
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება



სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☒ V შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ V შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ V შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ V შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

- 1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
- 2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
- 3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
- 4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტ სფელ ვეჯინის ივბერიტაშვილის სახელობის საჯარო სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ დოკუმენტის მიხედვითაც კურიკულუმის შემუშავება ხდება ძირითადად მასწავლებლების, დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. საშუალო საფეხურის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის წინა სასწავლო წლის ანალიზი, შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, კათედრის მუშაობა, დირექციის მუშაობა. ამასთან მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის შემუშავებისას სკოლა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, როგორცაა სასწავლო პროცესის დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე

საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევით: სასურველია, სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების შესაწავლისა და კურიკულუმში ასახვის მიზნით, მეთოდოლოგიაში უფრო მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, მთელი წლის განმავლობაში, რა ფორმით, როგორი ინტენსივობით, რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით მოხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა, და გათვალისწინება. ასევე, მნიშვნელოვანია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ფრაგმენტულად არსებული ზოგადი ჩანაწერები დაზუსტდეს სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.1.1.1. სტანდარტს შეესაბამება

2. საგნობრივი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სკოლის მიერ დამტკიცებული დოკუმენტი- „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“ დეტალურად აღწერს სასკოლო პრიორიტეტების გამოკვეთისა და რეალიზების მექანიზმებს. საშუალო საფეხურის კურიკულუმში სწავლა-სწავლების მიზნებისა და სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სასკოლო საზოგადოების

ინტერესები. მოსწავლეთა ინტერესი, ასევე, გათვალისწინებული იქნა არჩევითი საგნის შეთავაზებისას საშუალო საფეხურზე. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს კურიკულუმის განვითარებას მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით. კურიკულუმის რევიზიის ეტაპზე გათვალისწინებული იქნება მოწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, რა ფაქტორები უშლიდა ან უწყობდა ხელს მათ ჩართულობას; მოსწავლეთა შედეგები, რამდენად გაუმჯობესდება წინა წელთან შედარებით. მშობელთა ჩართულობა, რამდენად შეძლეს მათ მისიის, ხედვისა და სასკოლო კურიკულუმის დაკავშირება საკუთარ პრიორიტეტებთან.

ინდიკატორი 2.1.1.2. სტანდარტს შეესაბამება

3. საგნობრივი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კერძოდ განსაზღვრულია მასწავლებლების, კათედრებისა და დირექციის ფუნქციები და პასუხისმგებლობები, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოსაყენებელი საკომუნიკაციო არხები. საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივ კურიკულუმს შეიმუშავებს მასწავლებელი და განსახილველად წარადგენს კათედრაზე. სკოლას აქვს წარმოდგენილი კათედრის ოქმი, რომელშიც ჩანს კათედრის წევრების ჩართულობა კურიკულუმის შემუშავებაში. კოლეგებთან შეთანხმებით შემუშავდება კურიკულუმის საბოლოო ვერსია, რაც დამტკიცდება მომდევნო სასწავლო წლის დასაწყისში. მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწერილია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უნდა უძღოდეს წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზი და ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრების შეხედულებების კვლევა, რომელიც სასწავლო წლის განმავლობაში ციკლურად მიმდინარეობს.

ინდიკატორი 2.1.1.3. სტანდარტს შეესაბამება

4. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს სასკოლო კურიკულუმის სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარების აუცილებლობას. ექსპერტებთან გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს და აღწერეს სკოლის პრაქტიკა, რაც გულისხმობს სასწავლო წლის დასაწყისში, კლასის დამრიგებლები მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ეთიკის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამის საკითხებს და სხვ. მათ აღნიშნეს, რომ განსაკუთრებით დაწყებითი და საშუალო საფეხურის მე-12 კლასის მოსწავლეთა მშობლები გამოირჩევიან ინტერესით და მათთან დეტალურად ხდება დაგეგმილი სასწავლო პროცესების, მისაღწევი მიზნების, აქტივობების თუ შეფასების რუბრიკების განხილვა. კათედრის ხელმძღვანელები აღნიშნავენ, რომ 2023-2024 სასწავლო წელს შეინარჩუნებენ

არსებულ პრაქტიკას და გეგმავენ კურიკულუმის პირველადი ვერსია გაუზიარონ სასკოლო საზოგადოების წევრებს: მოსწავლეებს სადამრიგებლო საათზე, მასწავლებლებს – კათედრაზე და მშობლებს – მშობელთა კრებაზე, მიღებული უკუკავშირი და მათი შეხედულებები გაითვალისწინონ კურიკულუმის საბოლოო ვერსიის დამტკიცებამდე.

საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევა: სასურველია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში უფრო მკაფიოდ გაიწეროს გაზიარების სხვადასხვა ფორმა და ინსტრუმენტები, რომლებიც უკეთ წარმოაჩენდა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები საკუთარ საქმიანობას უკავშირებენ კურიკულუმსა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილ მასალას და აქვთ მიკუთვნებულობის განცდა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ინდიკატორი 2.1.1.4. სტანდარტს შეესაბამება

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ინგლისური ენის საშუალო საფეხურის კურსკულუმები
- რუსული ენის საშუალო საფეხურის კურსკულუმები
- უცხო ენის კათედრის ოქმი N 6 (5 ივლისი 2023 წელი)
- ხელოვნება მე-10 კლასი
- მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები
- სამოქალაქო კლუბის ანგარიში
- პროექტი მემკვიდრეობაზე
- მშობელთა კრების ოქმი
- საგნობრივი კურიკულუმები
- პროექტები: „არჩევნები და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა“; „აღვადგინოთ და გადავაჩინოთ ვეჯინის კულტურული მემკვიდრეობა“
- ეკოკომიტეტის სხდომის ოქმი და პროექტი „ეკოსკოლა“

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს



1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგობრივი ექსპერტების მოკვლევით, სკოლას შემუშავებული აქვს საგობრივი კურიკულუმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების შესაძლებლობას. გასაუბრებისას გამოიკვეთა, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის პროცესის დაგეგმვის მზაობა. პედაგოგებმა ისაუბრეს იმაზე, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, ამიტომ საჭიროებიდან გამომდინარე, სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით ისინი ახერხებენ სასწავლო გეგმის მოდიფიცირებას. ცდილობენ აქტიურად დანერგონ კომპლექსური ბუნების დავალებები. როგორც უცხოური ენის კათედრის შეხვედრის ოქმშია (N 4) აღწერილი, სკოლაში აქტიურად ინერგება კომპლექსური შემაჯამებელი დავალება, გასაუბრებაზე მოიყვანეს წარმატებული მაგალითები თავიანთი პრაქტიკიდან, განხორციელებული აქტივობები, არსებული გამოცდილების გამოყენება მათ დაეხმარებათ მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროცესის განხორციელებაში. სკოლაში კომპლექსური დავალებებით სწავლება სასკოლო კურიკულუმის მნიშვნელოვანი ნაწილია. საშუალო საფეხურზე მოსწავლეზე ორიენტირებულად შეირჩევა პროექტები მუსიკასა და ხელოვნებაში.

ექსპერტთა რჩევით: სასურველი და მნიშვნელოვანია კურიკულუმებში თითოეულ თემის დონეზე ყველა სამიზნე ცნებაზე ორიენტირება, კონტექსტ-მაგალითებისა და კომპლექსური დავალების იდეების გაწერა შესაბამისი რესურსების მითითებით. ასევე მე-11, 12 კლასებისთვის შემუშავდება კურიკულუმები მსგავსად მე-10 კლასისა

ინდიკატორი 2.1.2.1. სტანდარტს შეესაბამება

2. საშუალო საფეხურზე, კურიკულუმები იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც



კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტების შემოტანას ხელს უწყობს სკოლის მიერ საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალები. საშუალო საფეხურის კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პროცესში, ორივე სემესტრში მუშავდება პროექტები, მსჯელობას ამყარებს სკოლის ბაზაზე არსებული ეკოკლუბ “მწვანე ნათება”-ის მიერ ინიცირებული სახვდასხვა აქტივობები, რაც მოსწავლეს ხელს უწყობს განუვითარდეს გლობალური ფუნქციური უნარები. პროექტული სწავლების დროს მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად პროდუქტის შექმნისას, პრობლემის გადაჭრას შემოქმედებითად მიუდგეს, გამოუმუშავდეს თანამშრომლობითი უნარები. აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს კათედრებთან ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური აქტივობების შესახებ მსჯელობა.

საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევა: სასურველი და მნიშვნელოვანია კურიკულუმებში თითოეულ თემის დონეზე ყველა სამიზნე ცნებაზე ორიენტირება, კონტექსტ-მაგალითებისა და კომპლექსური დავალების იდეების გაწერა შესაბამისი რესურსების მითითებით უფრო სრულყოფილი სახით.

ინდიკატორი 2.1.2.2. სტანდარტს შეესაბამება

3. ექსპერტთა მირ შესწავლილი მტკიცებულებებისა და ინტერვიუების შედეგად დგინდება, რომ კათედრები შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის ინსტრუმენტად იყენებენ კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ, ცალკეული მოსწავლეებისთვის კი ამ დავალების ადაპტირებული ვერსია მოამზადოს. სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ სხვადასხვა შინაარსის და სირთულის დავალებებს, გამოყენებული დავალებების პირობები, მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საბოლოო პროდუქტი იყოს მრავალფეროვანი მათი სურვილის შესაბამისად. გასულ სასწავლო წელს სკოლას საშუალო საფეხურზე არ ჰყავდა სსსმ მოსწავლეები. 2023/24 სასწავლო წლისთვის კათედრა გეგმავს სსსმ მოსწავლეებისთვის პროექტების ადაპტირებას მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით და შესაბამისი შეფასების რუბრიკების შექმნას.

საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევით: სასურველი და მნიშვნელოვანია კომპლექსური დავალებების პირობის ადაპტირება (როგორც სსსმ, ისე ტიპური განვითარების მოსწავლეებისთვის, რომლებიც დაბალი მზაობით გამოირჩევიან) დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.1.2.3. სტანდარტს შეესაბამება

4. ექსპერტები მტკიცებულებების საფუძველზე მიიჩნევენ, რომ საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და შეფასების ნიმუშები.

შეფასების რუბრიკები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. საგნის მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული, თუ როგორ უნდა მოახდინონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და მოსწავლეებისათვის კონსტრუქციული რეკომენდაციების მიცემა კონკრეტულ საკითხთან მიმართებით. კათედრების წევრებთან გასაუბრების დროს ნათლად გამოჩნდა, რომ კათედრაში შემავალ საგნის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ სწავლება და შეფასება, როგორც ერთი მთლიანი პროცესი და აქვთ მზაობა, რომ საშუალო საფეხურზე შეფასება აწარმოონ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული რუბრიკებით, რომლის დახვეწასა და გადახედვასაც აპირებენ ახალ 2023-2024 სასწავლო წლისთვის.

საზოგადოებრივი ექსპერტი გასცემს რჩევას: სასურველი და მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასების რუბრიკების თითოეული კომპლექსური დავალებისთვის შექმნა დასამუშავებელი სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან კავშირით. თითოეული სავალდებულო თემისთვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების მომზადება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორების საფუძველზე.

ინდიკატორი 2.1.2.4. სტანდარტს შეესაბამება

5. ექსპერტები შესწავლილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე აღნიშნავენ, რომ კათედრებზე კურიკულუმების შედგენისას გაითვალისწინეს მიმდინარე სასწავლო წლის წარმატებული გამოცდილება და გამოვლენილი სირთულეები, რომელთა შესახებაც ინფორმაციას აზიარებენ კათედრის სხდომებსა თუ პირად საუბრებში. სასკოლო გეგმაშიც ხაზგასმულია, რომ სკოლისთვის ჩვეული ტრადიციაა, არსებული კურიკულუმების ანალიზზე დაფუძნებით ახლის შედგენა-დაგეგმვა. დასახელდა ის კომპლექსური დავალებები რომელთა შესრულების დროსაც მოსწავლეებმა განსაკუთრებული ინტერესი და მოტივაცია გამოავლინეს და სწორედ ამ ნიშნით შეირჩა ისინი მომდევნო სასწავლო წლისთვისაც. შესამჩნევია და თავადაც აღნიშნეს, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებითა და მეთოდოლოგიური ორიენტირებით სწავლების გამოცდილება დაწყებით და საბაზო საფეხურზე მეტად აქვთ, ვიდრე საშუალოზე, თუმცა მზაობა იმისა, რომ ეს გამოცდილება გადაიტანონ პრაქტიკულ საქმიანობაში, დაეყრდნონ საშუალო საფეხურის ახალ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, თვალსაჩინოა.

ინდიკატორი 2.1.2.5. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



- საშუალო საფეხურის მატემატიკის საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების ფორმები/ინსტრუმენტები;
- ხელოვნება თავფურცელი ნიმუში 10
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სადამრიგებლო საათის მატრიცა - დანართი 49
- სამოქალაქო განათლების კლუბის წესდება და პროექტების ამსახველი მასალა
- მშობელთა კრების ოქმი
- საგნობრივი კურიკულუმები
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა - დანართი 23
- პროექტები: „არჩევნები და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა“; „აღვადგინოთ და გადავაჩინოთ ვეჯინის კულტურული მემკვიდრეობა“
- ეკოკომიტეტის სხდომის ოქმი და პროექტი „ეკოსკოლა“

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება



2.2.კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

- 1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
- 2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
- 3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
- 4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
- 5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს შეუქმნის შემოქმედებით პროცესში აქტიურად ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლას აქვს წინა წლების გამოცდილება; როგორც ექსპერტებთან ინტერვიუშიც აღნიშნეს, დაკვირვების საფუძველზე, ყველა სირთულე გაითვალისწინეს და ისე დაგეგმეს 2023-24 სასწავლო წლის კურიკულუმი (სკოლამ წარმოადგინა ასევე, ძველი კურიკულუმებიც).2023-24 წლის კურიკულუმში აპირებენ გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები და ამის მიხედვით დაგეგმონ დავალებები თუ საკლასო სასკოლო პროექტები. საშუალო საფეხურის კურიკულუმებით, მოსწავლეთა ნამუშევრებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

საზოგადოებრივი მენიერებების ექსპერტის რჩევით: სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის განახლება და ახლის დაწერაც.

ინდიკატორი 2.2.1.1. სტანდარტს შეესაბამება

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია თემების გათვალისწინებით, რაც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის და დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში.



კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული დავალების პირობათა უმრავლესობა შემუშავების პროცესშია, მაგრამ წარმოდგენილ ნიმუშებში ჩანს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, მაგ, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა. ეს არგუმენტი ცხადყოფს, რომ მომდევნო სასწავლო წელს პროცესი წარიმართება აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით. კონკრეტულ დავალებამდე განსახორციელებელი აქტივობები წარმოდგენილი იქნება განხორციელების პროცესის დასასრულს. კათედრებთან შეხვედრის დროსაც გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ წინარე ცოდნის საფუძველზე ახლის დაშენების მნიშვნელობა სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 2.2.1.2. სტანდარტს შეესაბამება

3. ექსპერტთა დასკვნით, რომელიც წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და მასწავლებელთა ინტერვიუს ეფუძნება, მასწავლებლები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ მეტაკოგნიციას. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არა მხოლოდ შედეგზე, არამედ პროცესზე. მოსწავლე თვითონ ირჩევს სტრატეგიებს, გარდა ამისა, მასწავლებლები ხშირად სთავაზობენ მოსწავლეებს დავალებებს რომელიც მოითხოვს მათ მიერ დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება-დამუშავებას, შესრულებული დავალების პრეზენტაციას, ანალიზს-რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს... სკოლა იყენებს მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების მეთოდებს. სავალდებოლო პროექტები საშუალო საფეხურზე ამის დასტურია, საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის, კომპლექსური დავალებების პირობების, შეფასების რუბრიკების გაცნობითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

ინდიკატორი 2.2.1.3. სტანდარტს შეესაბამება

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში/ჩარჩოებში იკვეთება ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება. ამის დასტურია კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლის შესრულებაც მოითხოვს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, მოქმედების წესებსა და სტრატეგიებს, და ცოდნის მოქმედებაში გადატანას, გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. მასწავლებლებმა საგნობრივ ექსპერტებთან ინტერვიუების პროცესში მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებზე ისაუბრეს და მტკიცებულებად ნამუშევრებიც წარმოადგინეს.

ინდიკატორი 2.2.1.4. სტანდარტს შეესაბამება

5. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის, კომპლექსური დავალებების პირობების, შეფასების რუბრიკების გაცნობითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით ექსპერტები ადასტურებენ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. საშუალო საფეხურზე მათ გაცნობიერებული აქვთ საგნობრივი პროექტების განხორციელების მნიშვნელობა. საგნობრივი პროექტი მოითხოვს სწავლა-სწავლების პროცესში ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთ

დაკავშირებას. ამგვარი მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, მიღებული ინფორმაციის ცოდნად გარდაქმნას.

ინდიკატორი 2.2.1.5. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების ფორმები/ინსტრუმენტები;
- საშუალო საფეხურის ინგლისური და რუსული ენების კურიკულუმები
- ხელოვნება თავფურცელი ნიმუში 10
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სადამრიგებლო საათის მატრიცა - დანართი 49
- სამოქალაქო განათლების კლუბის წესდება და პროექტების ამსახველი მასალა
- მშობელთა კრების ოქმი
- საგნობრივი კურიკულუმები
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა - დანართი 23
- პროექტები: „არჩევნები და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა“; „აღვადგინოთ და გადავაჩინოთ ვეჯინის კულტურული მემკვიდრეობა“
- ეკოკომიტეტის სხდომის ოქმი და პროექტი „ეკოსკოლა“

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;



2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პედაგოგებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით საგნობრივი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ წარმოდგენილ კურიკულუმის ნიმუშებში მკაფიოდ არის გამოკვეთილი სამიზნე ცნებები და მათზე დაყრდნობით გამოკვეთილია ქვეცნებათა იერარქია. სასწავლო პროცესი იმგვარადაა დაგეგმილი, რომ ხელი ეწყობა სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებების გათავისებას სხვადასხვა კონტექსტში. კომპლექსური დავალების პირობაში ცნების მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზე კი შეფასების კრიტერიუმები (ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ). ეს დასტურდება კურიკულუმში ასახული კომპლექსური დავალებითა და მარავალფეროვანი სასწავლო რესურსებით. საშუალო საფეხურზე კათედრა, პედაგოგები, სამიზნე ცნებების, თემების, საგნობრივი საკითხების, საფეხურის საკვანძო შეკითხვების ურთიერთკავშირს, იაზრებენ სასწავლო პროცესის კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე აგების ძირითადად საგანმანათლებლო პრინციპად და საშუალებად. პედაგოგები თვლიან, რომ მოსწავლეები დროთა განმავლობაში კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის შემდეგ შეძლებენ საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით სამიზნე ცნებებისა და მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებასა და გაცნობიერებას

ინდიკატორი 2.2.2.1. სტანდარტს შეესაბამება

2. ექსპერტები სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ცხადყოფენ, რომ სკოლაში მასწავლებელთა მხრიდან საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს, რასაც ისინი ადგენენ დაკვირვებით, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების ანალიზებით, გამოკითხვებით. დავალებების შედგენისას ყურადღება მახვილდება ისეთ კითხვებზე რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს ამოიცნონ და მართონ საკუთარი ემოციები, ძლიერი და სუსტი მხარეები; სოციალური ცნობიერებისა და ურთიერთობის უნარების განვითარების მიზნით აქტიურად იყენებენ თანამშრომლობით სწავლებას, მუშაობენ პროექტებზე, ხშირად გეგმავენ ჯგუფურ სამუშაოებს, რაც ასევე ზრდის გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის კომპეტენციას.

ინდიკატორი 2.2.2.2. სტანდარტს შეესაბამება

3.ექსპერტები ასკვნია, რომ სკოლაში შეფასების სისტემა ორიენტირებულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასა და განვითარების ხელშეწყობაზე, სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია სხვადასხვა განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რაც სკოლის პრაქტიკაში გამოიყენება. აგრეთვე დანართებში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რამდენიმე ნიმუში. ხდება ჰოლისტური მიდგომის მხარდაჭერა. სკოლის მიერ წამოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს სასწავლო პროცესზე ორიენტირებულ კურიკულუმს და ჩანს, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას. მათთვის ნაცნობია ეროვნული სასწავლო გეგმის მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმი- სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდოლოგიური ორიენტირების რეალიზებას საშუალებას. გამოიკვეთა ასევე, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტიკა განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით.

ინდიკატორი 2.2.2.3. სტანდარტს შეესაბამება

4.შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები ჩართული არიან შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში, რაც ზრდის სანდოობას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით მშობლებთან კრებებზე წინასწარ აცნობებს მისაღწევ მიზნებს და იმ ზოგად კრიტერიუმებს რის მიხედვითაც ზეპირსიტყვიერად ფასდება მოსწავლის შედეგები. კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშებიდან, რომლის გამოყენებაც იგეგმება 2023-2024 სასწავლო წელს, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ შეფასების სისტემა იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური; ვინაიდან, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ეყრდნობა სტანდარტში მოცემულ თითოეული თემის ფარგლებში განსაზღვრულ შედეგების მიღწევის ინდიკატორებს ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებით, ხოლო განმავითარებელი შეფასება ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. მსგავსი ტიპის შეფასება პრაქტიკაში საშუალებას იძლევა რომ ობიექტურად შეფასდეს თითოეული მოსწავლე.

ინდიკატორი 2.2.2.4. სტანდარტს შეესაბამება

5.როგორც ექსპერტები შესწავლილი დოუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ასკვნია, სკოლას არ აქვს წარმოდგენილი, თუ როგორ გეგმავს შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციას, პროცესის ვერიფიკაციას და შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაციას; სკოლას ესაჭიროება შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება.

ხარვეზი- წარმოდგენილი დოკუმენტაციით სკოლას არ აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი. სკოლამუნდა შეიმუშაოს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც უზრუნველყოფს სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემის დახვეწა-განვითარებას. სკოლამ შესაბამისობის ფარგლებში წარმოადგინა ვერიფიკაციის დოკუმენტი

ინდიკატორი 2.2.2.5. სტანდარტს შეესაბამება

6. წარმოდგენილი დოკუმენტაციით ექსპერტები ადგენენ, რომ სკოლა მოსწავლეთა შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს აფიქსირებს მოსწავლეთა პირად საქმეში, ელექტრონულ ჟურნალში, დამრიგებლის ანგარიშში, რაც შეესაბამება კანონმდებლობას. აგრეთვე მოსწავლეთა ნამუშევრებს ინახავენ კათედრზე.

ინდიკატორი 2.2.2.6 სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სადამრიგებლო საათის მატრიცა - დანართი 49
- სამოქალაქო განათლების კლუბის წესდება და პროექტების ამსახველი მასალა
- მშობელთა კრების ოქმი
- საგნობრივი კურიკულუმები
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა - დანართი 23
- პროექტები: „არჩევნები და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა“; „აღვადგინოთ და გადავაჩინოთ ვეჯინის კულტურული მემკვიდრეობა“
- ეკოკომიტეტის სხდომის ოქმი და პროექტი „ეკოსკოლა“

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი მტიცებულებები, ექსპერტებს აძლევს შესაძლებლობას, რომ დაასკვნან: სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრების თანამშრომლობითა და პრობლემაზე ორიენტირებით, გაზიარებული პასუხისმგებლობითა და რეფლექსიით მიმდინარეობს სასკოლო ცხოვრების პროცესი, რომელიც ხელს უწყობს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას. კერძოდ, სკოლას შემუშავებული აქვს დამრიგებლის სამუშაო გეგმა, ინკლუზიური განათლების პროგრამა, განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკა, კათედრის ოქმები. საგნობრივ პროგრამებში გაწერილია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები, ფრაგმენტულად წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის დავალებები. უცხო ენების კათედრის N 2 (27.10.23) სხდომის ოქმშია აღწერილი „მნიშვნელოვანია მოხდეს მოსწავლეების მომზადება ეროვნული ოლიმპიადებისთვის, მიეცეს მათ შესაბამისი რეკომენდაციები, თუ რა საკითხებზე უნდა გაამახვილონ ყურადღება ოლიმპიადისთვის მომზადების დროს. საჭიროების შემთხვევაში აუცილებელია მოსწავლეების უზრუნველყოფა მოხდეს შესაბამისი სასწავლო რესურსებით.“ ამავე ოქმში აღწერილია თუ როგორ უნდა მოხდეს მოსწავლეთა მომზადება ეროვნული ოლიმპიადისათვის. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. რასაც ადასტურებს სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეული პუნქტი, საგნობრივი კურიკულუმები. ყველა მასწავლებელი ზრუნავს თანამშრომლობის განვითარებაზე როგორც ერთმანეთთან ასევე მოსწავლეებთან, მშობლებთან, მოსწავლეთა შორის. ღიაობა და მიმღებლობა და წახალისება, როგორც მასწავლებლების, ასევე, მოსწავლეებისა და მშობლების იდეების მიმართ. სკოლის მიერ, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასების წესები, განსაზღვრული და განმავითარებელი შეფასებები სასწავლო პროცესის მხარდამჭერია და მიმართულია მოსწავლის განვითარებაზე. კათედრის მიერ წარმოდგენილი ფოტომასალა ადასტურებს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს არსებობას. სკოლას გააჩნია ბიბლიოთეკა, რომლის განახლებაზე და შევსებაზე ზრუნავს და გეგმავს მომავალშიც გააგრძელოს ის. სკოლა საშუალო საფეხურის მოსწავლეებს სთავაზობს შესაბამის სასწავლო გარემოს. ამასთანავე, სკოლაში მოსწავლეებისთვის შექმნილია უსაფრთხო გარემო.

ინდიკატორი 2.2.3.1. სტანდარტს შეესაბამება

2. სკოლას საშუალო საფეხურის კურიკულუმებში განსაზღვრული აქვს კომპლექსური ბუნების დავალებები, განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკა, რომლებიც მოსწავლის ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების ინდენტიფიცირებისა და მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისთვის შესაბამისი ინტერვენციების დასაგეგმად ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. განხორციელებულია სამოქალაქო კლუბის პროექტები და სადამრიგებლო

პროგრამით ჩატარებულია სასკოლო პროექტები, რაც, ასევე, კარგი საშუალებაა მოსწავლეთა სხვადასხვა ინტერესები დასადგენად და დასაკმაყოფილებლად. პედაგოგები სასწავლო პროცესის წარმართვისას შეეცდებიან შეარჩიონ ისეთი თემები და კონტექსტმაგალითები, რომლებიც მოერგება მოსწავლეთა პიროვნულ გამოცდილებას.

ინდიკატორი 2.2.3.2. სტანდარტს შეესაბამება

3. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების ანალიზის საფუძველზე ექსპერტები ასკვნიან, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. კათედრების სხდომის ოქმით ჩანს, რომ ის წარმოადგენს ერთიან გუნდს, რომლის თითოეული წევრი ჩართულია პროცესის სრულყოფაში. სკოლა აქტიურად ახორციელებს მრავალფეროვან პროექტებს, რომლებიც მოითხოვს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართვას. სკოლა სასკოლო გეგმის, მისიისა და ხედვის ჩამოყალიბებაში რთავს სასკოლო საზოგადოების წევრებს. სასკოლო გეგმის ანალიზით ირკვევა, რომ კათედრები იკრიბებიან რეგულარულად მნიშვნელოვან საკითხებზე სამსჯელოდ და გადაწყვეტილებების მისაღებად. კათედრები თავიანთ ფუნქციებს შორის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციად გამოკვეთენ საგნობრივი ჯგუფების და მასწავლებლების კოორდინირების განხორციელებას. კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარებას, პრობლემის გადაჭრის გზების ერთობლივ ძიებას. სკოლაში ცალკეული კათედრის წევრები აქტიურად მუშაობენ სხვა კათედრებთან თემატიკის შეთანხმებასა და გაკვეთილის ინტეგრირებაზე. სკოლა აქტიურად იყენებს კომპლექსურ და გუნდურ დავალებებს, რომლებიც მოსწავლეში თანამშრომლობითი კულტურისა და კომუნიკაციის უნარების გაღრმავებას უწყობს ხელს სათანადო პროდუქტის მისაღებად.

ინდიკატორი 2.2.3.3. სტანდარტს შეესაბამება

4. სკოლის ადმინისტრაცია, თანამშრომლები, პედაგოგები სკოლაში ქმნიან უსაფრთხო და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ გარემოს. ბავშვების ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება სასკოლო თემატური ღონისძიებები - ლაშქრობები, ექსკურსიები, ხორციელდება სხვადასხვა პროექტი. საშუალო საფეხურზე სკოლა ახორციელებს პროექტებს, რომლებიც მოითხოვს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართვას. სკოლა სასკოლო გეგმის, მისიისა და ხედვის ჩამოყალიბებაში რთავს სასკოლო საზოგადოების წევრებს. მოსწავლეებს მათი შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები. არ იზღუდება მოსწავლეთა არჩევანი. კათედრა უზრუნველყოფს მოსწავლეებში მრავალფეროვნებისადმი პატივისცემის, სოციალური მხარდაჭერის თვისებების გაძლიერებას. სკოლა ახორციელებს სოციალურ და სამოქალაქო სწავლებას. ქმნის უსაფრთხო გარემოს სწავლისთვის, როგორც

ფიზიკური, ისე ფსიქო-ემოციური თვალსაზრისით. დავალებები შემუშავებულია ისე, რომ ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს, აძლევს მათ თავისუფალი არჩევანის საშუალებას, რათა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები, შეხედულებები, იდეები და მოსაზრებები.

ინდიკატორი 2.2.3.4. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უცხო ენების კათედრის N 2 (27.10.23)
- მათემატიკის კათედრის ოქმი
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სადამრიგებლო საათის მატრიცა - დანართი 49
- სამოქალაქო განათლების კლუბის წესდება და პროექტების ამსახველი მასალა
- მშობელთა კრების ოქმი
- საგნობრივი კურიკულუმები
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა - დანართი 23
- პროექტები: „არჩევნები და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა“; „აღვადგინოთ და გადავაჩინოთ ვეჯინის კულტურული მემკვიდრეობა“
- ეკოკომიტეტის სხდომის ოქმი და პროექტი „ეკოსკოლა“

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
-

1.

- ✓ სრულ ად შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც შესწავლილი სასკოლო დოკუმენტებით ექსპერტები არკვევენ, სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. სადაც დეკლარირებულია როგორ ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტის მიხედვით სკოლა კურიკულუმის რეალიზაციის პროცესში გეგმავს შეამოწმოს რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. წარმოდგენილი დოკუმენტი დამუშავებისა და კონკრეტული დატვირთვის შემთხვევაში სკოლას მისცემს საფუძველს შეადაროს რეალურად მიმდინარე საქმიანობა დაგეგმილ პროცესებს. აგრეთვე სკოლა ახორციელებს სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების მონიტორინგს, დირექციასთან ერთად მონიტორინგის პროცესში ჩართულია ხარისხის განვითარების ჯგუფი. ატარებენ დაგეგმილ საჩვენებელ გაკვეთილებს. ხარისხის მართვის ჯგუფთან ჩატარებულ გაკვეთილზე თვითრეფლექსიას ახდენს მასწავლებელი და კონსტრუქციულ, განმავითარებელ უკუკავშირს იღებს ჯგუფისგან.. ყოველი სემესტრის ბოლოს კლასის დამრიგებლების, კათედრის ხელმძღვანელებისა და საგნის მასწავლებლების მიერ პედაგოგიური საბჭო ისმენს შემაჯამებელ ანგარიშს.

ექსპერტთა რჩევა-სასურველია აღნიშნული პუნქტი ცალკე უფრო მკაფიოდ გამოიყოს მეთოდოლოგიის დოკუმენტში და უფრო მეტად დაკონკრეტდეს მონიტორინგისა და შეფასების პრინციპები, მიმართულებები, ფორმატი, ვადები და ინსტრუმენტები

ინდიკატორი 2.3.1.1. სტანდარტს შეესაბამება

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, მასწავლებელთა რეფლექსიები და თვითრეფლექსიები მოწმობს, რომ სკოლას გააზრებული აქვს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარების მნიშვნელობა სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში. სკოლაში მიმდინარე მონიტორინგი სასკოლო საზოგადოებისათვის მხოლოდ მხარდაჭერი ფუნქციის მატარებელია. მონიტორინგის დროს წინასწარ შეთანხმებული შეფასების რუბრიკისა და დაკვირვების საფუძველზე, მასწავლებელი იღებს კონსტრუქციული ხასიათის უკუკავშირს. ხდება მისი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთა და მეთოდური რჩევების მიცემა.

ინდიკატორი 2.3.1.2. სტანდარტს შეესაბამება

3. ექსპერტები მასწავლებელთა ინტერვიუს საფუძველზე, აღნიშნავენ, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას გამოვლენილი პრობლემების მოსაგვარებლად სკოლაში მოქმედი ხარისხის მართვის ჯგუფი შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელიც გამოვლენილი პრობლემების მოგვარებაზეა ორიენტირებული. პროექტებისა და ღონისძიებების შეფასება ხდება ზოგადად, ძირითადად ზეპირი განხილვით. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმში, შევიმუშავებთ პრობლემის მოგვარების შესაფასებლად მექანიზმს: განმეორებითი დაკვირვება, მასწავლებლის რეფლექსია, მცირე კვლევა, მოსწავლეთა შედეგები იმის დასადგენად რამდენად მოგვარდა პრობლემა. ასევე აღნიშნავენ რომ პროექტებისა და ღონისძიებების შეფასებისათვის შეიმუშავებენ მონიტორინგის მოქნილ მექანიზმს, რომელიც დაეხმარება ანალიზის გაკეთებაში თუ რამდენად გადაიჭრა მოცემული პრობლემა. მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის მონიტორინგი ერთ-ერთი საშუალებაა იმის, რომ სწორად მოხდეს პრობლემის იდენტიფიცირება და დაისახოს პრობლემის გადაჭრის გზები.

ინდიკატორი 2.3.1.3. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023;

- მასწავლებელთა ინტერვიუ.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტები კათედრებთან გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთენ, რომ სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასების ვალიდურობისთვის ინფორმაციის მოპოვებისას სკოლა ეყრდნობა სხვადასხვა მონაცემებს. მაგ. შეფასების რუბრიკებს, თემატურ მატრიცებს, სასკოლო მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მოწოდებულ ინფორმაციას. ასევე სხვადასხვა დოკუმენტურ, სტატისტიკური ტიპის რესურსებს. სკოლა იყენებს როგორც გაკვეთილზე დასწრებას დირექციისა და ხარისხის ჯგუფის წევრებიდან, ასევე ურთიერთდასწრების პრაქტიკას, უკუკავშირს მოსწავლეებისგან, ინფორმაციის მიღებას მშობლებისგან, დამრიგებლისგან. აწარმოებენ განმსაზღვრელ (რომელიც მოიცავს მოსწავლეთა შეფასებას სამი კომპონენტით საშინაო დავალება, საკლასო აქტივობა, შემაჯამებელი სამუშაო) და განმავითარებელ შეფასებას, რომელთაც აწვდიან მშობლებს ელ. ჟურნალის მეშვეობით. სსგ-ში გაწერილია ჰოლისტური შეფასების რუბრიკები. სკოლის სურვილია ახალი სასწავლო წლისათვის კიდევ უფრო დახვეწოს და გაამრავალფეროვნოს შეფასების წყაროები, გამოიყენოს ასევე მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები.

ექსპერტთა რჩევა-სასურველია მეთოდოლოგიაში მკაფიოდ გაიწეროს მრავალფეროვანი წყაროები ჰოლისტურად შეფასების მიზნით.

ინდიკატორი 2.3.2.1. სტანდარტს შეესაბამება

2. ექსპერტები ადასტურებენ, რომ სკოლას აქვს მოსწავლეზე დაკვირვების ფორმა, კათედრის სხდომები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, დამრიგებლის საათი და პროექტები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც შესაძლებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. მასწავლებლები სისტემატურად აკვირდებიან მოსწავლეებს, აკეთებენ ჩანიშვნებს, უკავშირდებიან დამრიგებლებს, მოსწავლეთა მშობლებს და ცდილობენ მათი ინდივიდუალური შესაძლებლობების

გათვალისწინებას სწავლებაში. ქსპერტებთან ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ იმის შესახებ, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალგვარ კონტექსტს, როგორებიცაა: შესასწავლი თემა და საკითხი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, საფეხურის ფარგლებში ცნებების დაფარვის დონე და მათი დასკვნის ვალიდაციას სწორედ მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს

ინდიკატორი 2.3.2.2. სტანდარტს შეესაბამება

3. შესწავლილი დოკუმენტაციით და პედაგოგებთან გასაუბრებიდან ირკვევა, რომ მასწავლებლები გამოიყენებენ შეფასების სხვადასხვა მეთოდებს - დაკვირვების ჩანაწერებს, შედეგების ანალიზს, შეკითხვების დასმას, თვითშეფასებას, ჯგუფური მუშაობას და სხვ. 2023-2024 სასწავლო წლისთვის კათედრები დირექციასთან ერთად გეგმავენ მოსწავლის პორტფოლიოს, როგორც შეფასების მეთოდის გამოყენებას, სადაც რეგულარულადა აისახება მოსწავლის აკადემიური მიღწევები და მისი ფსიქო-ემოციური განვითარება.

ინდიკატორი 2.3.2.3. სტანდარტს შეესაბამება

4. სკოლას აქვს მოსწავლეზე დაკვირვების ფორმა, დამრიგებლის პროექტები/აქტივობები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ტარდება მშობელთა კრებები, კათედრის სხდომები, სადაც განიხილება მოსწავლეთა აკადემიური და ფუნქციური უნარები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც შესაძლებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, თუმცა მასში მკაფიოდ არაა გაწერილი, რამდენად ურთიერთდაკავშირებულად/სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება.

საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევა:სასურველია მეთოდოლოგიაშიც ჩანდეს რა მექანიზმით,მეთოდებით მოხდება შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინება

ინდიკატორი 2.3.2.4. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებელთა ინტერვიუ
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია ინფორმაცია მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავებზე კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით. სკოლის დოკუმენტაციის გადასინჯვისა და მასწავლებელთა ინტერვიუებით დასტურდება, რომ კურიკულუმების შემუშავება დხება წინა წლის პარაქტიკის გათვალისწინებითა და გაკეთებული დასკვნების საფუძველზე. მათ აქვთ გამოცდილება, გადახედონ საფეხურის ფარგლებში მიღწეულ შედეგებს და სასწავლო პროცესი დაგეგმონ გამოვლენილი პრობლემებისა და საჭიროებების საფუძველზე. ამას მოწმობს მასწავლებელთა სკოლის ფარგლებში არსებული პრაქტიკის ურთიერთგაზიარება. -სკოლას

წარმოდგენილი აქვს გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა, რაც საშუალებას მისცემს სკოლას, შეიმუშავოს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი.

ინდიკატორი 2.4.1.1. სტანდარტს შეესაბამება

2. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც დეკლარირებულია, რომ “ სკოლა ვალდებულია ყოველწლიურად განაახლოს დოკუმენტი წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე“ . ინტერვიუებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები დაშენდება წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის შედეგებზე. სკოლას აქვს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ანალიზის გარკვეული გამოცდილება(მაგ. შემაჯამებლების ანალიზები),

საგნობრივი ექსპერტების რჩევით: -სკოლამ გაწეროს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი სადაც ასახული იქნება თუ როგორ, რა ფორმით/საშუალებებით მოხდება სასკოლო საზოგადოების (მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი, სკოლის ადმინისტრაცია, დირექცია) ინტერესების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა, როგორ განხორციელდება დანერგვის პროცესის მონიტორინგი, შეფასება, რეკომენდაციების შემუშავება შემდეგ წელიწადს კურიკულუმის დასახვეწად.

ინდიკატორი 2.4.1.2. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- მასწავლებელთა ინტერვიუ.
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება



- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართები 4 დაზიპული ფაილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

თ. ავაშვიძე

2. მოსკოვი

ნ. ავაშვიძე

ე. გოგი

1. მოსკოვი

2.

3.

თ. ავაშვიძე

1. მოსკოვი

ე. გოგი

17.10.2023წ

თარიღი